[illegible]
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 65 (609) სამშაბათი, 30 მარტი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 26 მარტს მდინარე გუმისთაზე დილის საათებში სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. შუადღისათვის კი მოწინააღმდეგემ ქვეითთა საბრძოლო მანქანიდან და ნაღმსატყორცნებიდან ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს, მაგრამ საპასუხო საარტილერიო ცეცხლის შემდეგ იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტა.

მოგვიანებით გააქტიურდნენ მოწინააღმდეგის სნაიპერები, საღამოს წინა ხაზზე გამოიყვანეს რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკა და სცადეს ჩვენი პოზიციების ინტენსიური დაბომბვა, მაგრამ საპასუხო საარტილერიო ცეცხლით მათი მცდელობა აღკვეთილ იქნა.

მოწინააღმდეგე ხელახლა გააქტიურდა ღამით, 5 საათისათვის. წინა ხაზზე კვლავ გამოიყვანა მძიმე ტექნიკა და ჩვენი პოზიციებისაკენ ისროლა რამდენიმე ჭურვი, რის შედეგადაც სოფელ აჩადარაში დაინგრა ერთი საცხოვრებელი სახლი. ჩვენი მხრივ მსხვერპლი არ არის.

27 მარტს მდინარე გუმისთაზე დღის განმავლობაში პერიოდულად მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლები.

28 მარტს, 2 საათსა და 50 წუთზე, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა „სუ-25"-მა იერიში მიიტანა ქ. სოხუმის საცხოვრებელ უბნებზე და მდინარე გუმისთაზე არსებულ ჩვენს საბრძოლო პოზიციებზე. თვითმფრინავმა ჯერ გადმოყარა მანათობელი ბომბები, ე. წ. „გირლიანდები", ამის შემდეგ რამდენიმე ბომბი ჩამოაგდო სოხუმის ცენტრალურ, შუქურის რაიონებსა და მდ. გუმისთაზე. საპასუხო შეტევა განმეორდა დილის 6 საათისათვის. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის.

ღამის განმავლობაში მდ. გუმისთაზე საკმაოდ აქტიური ხასიათის პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. დილით კი სროლის ინტენსიურობამ იკლო, ნაშუადღევს მოწინააღმდეგე კვლავ გააქტიურდა და ჩვენს პოზიციებს დაუშინა ცეცხლი მძიმე ტექნიკიდან, ყუმბარმტყორცნებიდან, ნაღმსატყორცნებიდან და ავტომატური იარაღიდან, აქტიურობდნენ სნაიპერებიც.

საქართველოს შეიარაღებული ძალები მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე უპასუხებდნენ. პოზიციური ბრძოლები გვიანობამდე გაგრძელდა.

იმავე დღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრასთან საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეუტიეს და აიძულეს მოწინააღმდეგე დაეტოვებინა დაკავებული პოზიციები და მნიშვნელოვნად დაიხია უკან.

23 საათისათვის ბაბუშარის სანაპიროსთან გამოჩნდა მოწინააღმდეგის გემი, რომელსაც სანაპირო დაცვის ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს, გემი ღია ზღვაში მიიმალა.

იოსებ გოგეჩია.

* * *

სოხუმში სახელები გადაარქვეს ქუჩებს

სოხუმის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქის ზოგიერთი ქუჩისათვის სახელის გადარქმევის შესახებ. კერძოდ, 9 მაისის სახელობის მოედანს დაერქვა ვეკუას მოედანი, 4 მარტის ქუჩას — მიტროპოლიტ დავითის ქუჩა. ძველი სახელი დაუბრუნდა „თბილისის გზატკეცილს", ვეკუას მოედნიდან კლასურის ხიდამდე მონაკვეთზე, კლუბორის ქუჩას, აგრეთვე, რუსთაველის სახელობის სანაპირო ვეკუას მოედნიდან ბზიფის გზატკეცილამდე მონაკვეთზე.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: ელცინს და ჭეშმარიტ დემოკრატებს რუსეთში დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ იმისათვის, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები შეუქცევადი გახდეს

— რუსეთში რეაქციამ ვერ გაიმარჯვა; რეაქციულმა ძალებმა რევანში ვერ აიღეს, ჩაიფუშა მათი მცდელობა, რომ ქვეყანა წაეყვანათ ტოტალიტარიზმის გზით, რაზეც მე ადრე არაერთხელ მივანიშნებდი, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ კომენტატორ ნატო ონიანთან თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, როცა რუსეთში მიმდინარე მოვლენები შეაფასა. — ეს მოვლენები დღესაც ყურადღების ცენტრშია, რადგან ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. ელცინს და ჭეშმარიტ დემოკრატებს რუსეთში დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ იმისათვის, რომ დემოკრატიზაციის პროცესები შეუქცევადი გახდეს, — თქვა მან. — ამ გამარჯვებაში, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოველთა და პეტერბურგელთა პოზიციას, ხალხის მხარდაჭერას, რაზეც პრეზიდენტი ელცინიც ლაპარაკობდა გუშინ მიტინგზე გამოსვლის დროს. სხვათა შორის, გუშინდელი ჩემი შეფასებაც, რომელიც საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში გამოვთქვი, სწორედ ხალხის პოზიციას გულისხმობდა, რომ მსოფლიო დღეს დაინახავს, თუ რომელ გზას აირჩევენ რუსეთის მოქალაქენი — დემოკრატიის, თავისუფლების, ცივილიზაციისა თუ ანარქიის, ქაოსისა და დიდმპყრობელურ შოვინიზმზე დაფუძნებულ დიქტატურას-მეთქი. ბედნიერებაა, რომ მოსკოველებმა და პეტერბურგელებმა დემოკრატიის გზას მისცეს ხმები და ამით, ფაქტობრივად, დამთავრდა ბრძოლის ერთი ეტაპი. ახლა, როგორც ვთქვი, მთავარია, ეს პროცესები შეუქცევადი გახდეს. მოვლენები ისე ვითარდება, რომ ლოგიკური განვითარების ჩარჩოებს არ ემორჩილება, ამიტომ, სახალხო დეპუტატთა ყრილობის გარეკვა, როგორც თქვენ ამბობთ, ალბათ საჭირო არ არის. იქნებ ყრილობამ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი. საბედნიეროდ, საქმე აქამდე ჯერ არ მისულა.

შეკითხვაზე, ხომ არ შეუწყო ხელი ელცინის გამარჯვებას რუსეთის სამოქალაქო კავშირის პოზიციამ, სახელმწიფოს მეთაურმა თქვა, რომ ამ კავშირის ლიდერთა პოზიციას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, მათ ელცინს დაუჭირეს მხარი. მე კარგად ვიცნობ ბატონებს ვოლსკის და ვლადისლავლევს, მიმუშავია კიდეც მათთან და ვთვლი, რომ მათი კავშირები დიდ სამრეწველო კოლექტივებთან, სამხედრო კომპლექსთან გამოსაყენებელია, ახლა მთავარი ის არის, თუ როგორ განვითარდება სამოქალაქო კავშირის ეს მოძრაობა, იქცევა თუ არა იგი მსხვილ პოლიტიკურ ძალად. მის ლიდერებზე ეს ბევრად არის დამოკიდებული, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა ცოტა გადაჭარბებული უწოდა შეფასებას, რომელიც ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ, თუკი ხასბულატოვს გადააყენებდნენ, ვითომდა ავტომატურად, ლტოლვილად იქცეოდა ჩეჩნეთში მცხოვრები 250 ათასი რუსი მოქალაქე. ხასბულატოვს მხარს თანამემამულეთა თანაგრძნობის გამო უჭერენ, ამასთან, მას თავისი კლანიც ჰყავს, თუმცა თავის სამშობლოში არც მოწინააღმდეგენი აკლია. მე მგონი, ეს შეფასება, ზემოთ რომ ლაპარაკობდით, — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა კომენტატორს, — ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესების ანარეკლია.

შემდეგ საუბარი შეეხო რუსეთის პრეზიდენტთან მოსალოდნელი შეხვედრის თემას და კომენტატორი დაინტერესდა ხომ არ არის მოსალოდნელი ცვლილებანი რუსეთის ხელისუფლების პოზიციაში აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით.

— ნაჩქარევ დასკვნებს მე არ გავაკეთებდი, — დასძინა სახელმწიფოს მეთაურმა.— რას მოვითხოვთ ჩვენ რუსეთის ხელისუფლებისაგან? იმას, რომ იგი მოვალეა უერთგულოს მოსკოვში 1992 წლის 3 სექტემბრის უმაღლეს დონეზე ხელმოწერილ ხელშეკრულებას. თუ რამდენად შეძლებს ამას ხელისუფლების ის წრე, ვისაც ეს ევალება, ალბათ, დრო გვიჩვენებს. რაც შეეხება აფხაზეთის მოვლენების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას, ამ [illegible] დიალოგი, პოზიცია საჭიროა, ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება და ასეთი განწყობილება თანდათან უფრო გაძლიერდება, რადგან აფხაზებიც, სეპარატისტულად განწყობილ ჯგუფს ვგულისხმობ, ბევრ რამეში მოატყუეს და იმედი გაუცრუვდათ. ამიტომ, მჯერა და მწამს, რომ ისინი დღეს თუ ხვალ დაინახავენ, რომ აფხაზი ხალხის, მისი ტრადიციების, მისი კულტურის გადარჩენა მხოლოდ დემოკრატიულ საქართველოში შეიძლება. ვიმეორებ, ამას ისინი დაინახავენ. ჯერჯერობით კი ისინი იმას ხედავენ, რომ უკანდახევა ძნელია; ხვდებიან თავიანთ შეცდომებსაც, მთლიანად აქვთ გააზრებული, რა დიდი ტრაგედია დაატეხეს ხალხს, როცა ომი გააჩაღეს; ისიც კარგად იციან, რომ ხალხის მომავალზე მზრუნველმა ადამიანებმა, ამ საქმეში ძალის გამოყენება უნდა გამორიცხონ და, მით უმეტეს, მასში მესამე ძალა არ უნდა ჩართონ. ახლაც იყო ბატონ არძინბას სატელეფონო ზარი მოსკოვში, ვიცით, ვისი მისამართითაც დარეკა... იმის მოლოდინში იყო, რომ ელცინის ხალხი წავიდოდა ხელისუფლებიდან და მერე, ვინც მოვიდოდა, იმათი მეშვეობით იმოქმედებდა და გამარჯვებას მიაღწევდა.

რადიოკომენტატორმა იკითხა, მოახდენს თუ არა რაიმე გავლენას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის შეხვედრა აფხაზეთის მოვლენებზე. ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის ძირითადი თემა რუსეთის სტაბილურობის საკითხები იქნება. მაგრამ შეიძლება იყოს აზრთა გაზიარებაც, კერძოდ, კავკასიაზე და საქართველოზეც, — უპასუხა ედუარდ შევარდნაძემ. — მე ვფიქრობ, ეს ასეც უნდა იყოს, — დასძინა მან.

29 მარტის რადიოინტერვიუ

შემდეგ საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის მინისტრის თენგიზ კიტოვანის ვიზიტის მიზანს ნატოში. ბატონ თენგიზის ვიზიტი ნატოში იმიტომ მოხდა, რომ იქ თავდაცვის მინისტრთა შეხვედრაა, — განმარტა სახელმწიფოს მეთაურმა. — და რაიმე კონკრეტული საკითხები არ იქნება განხილული, მათ შორის, არც ნატოს ახალი სტრატეგია. ამ სამხედრო ორგანიზაციაში ახლა, ალბათ, იმაზე უნდა იფიქრონ, რომ მოიძებნოს ისეთი სათანადო ფორმები, რომ ზემოქმედება მოახდინონ უარყოფით პროცესებზე რუსეთში, თუკი ისინი გაგრძელდება და განვითარდება. ბატონ ბუშის დოქტრინაც, რომელზეც მე წინა რადიოინტერვიუში ვლაპარაკობდი, ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული. პირველი ასეთი ნაბიჯები ამ მხრივ, ვფიქრობ, ალბათ პერიფერიული ქვეყნების მიმართ გადაიდგმება; ნატომ ისინი შესაძლოა კავკასიის, საქართველოს მიმართ გადადგას, რადგან, აქვეა თურქეთი, ნატოს ერთ-ერთი ყოველმხრივ ძლიერი ფრთა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ნატოს აქტიური კონტაქტების განვითარება საქართველოდან უნდა დაიწყოს, შემდეგ ალბათ, იქნება უკრაინა და ა. შ.

რაც შეეხება თურქეთთან დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციას, ვიცი, რომ იქაური წრეები ყურადღებას აქცევდნენ, რადგან მისი რატიფიკაცია გაჭიანურდა, მაგრამ მე უკვე ვთქვი, თუ რატომ მოხდა ეს — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — ამჟამად, ვფიქრობ, ჩვენი პარლამენტი ერთსულოვანი იყო და თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებმა კარგი გამოცდა გაიარა.

სახელმწიფოს მეთაურმა ინტერვიუში დიდი ყურადღება დაუთმო კუპონების შემოღებასთან დაკავშირებულ თემას და თქვა, რომ კუპონების შემოღება აუცილებელი ნაბიჯია, რომელსაც თავიდან ვერ ავიცილებდით. მე ვამბობდი, — ხაზგასმით აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. — რომ სამანეთო ზონიდან ჯერ არ უნდა გამოვიდეთ-მეთქი. რუსეთის ხელისუფლებაც ასე იყო განწყობილი, რომ რაც შეიძლება ბევრი ქვეყანა დარჩენილიყო სამანეთო ზონაში. მაგრამ ამ ერთი თვის წინათ, შეიცვალა მისი პოზიცია და დაიწყო ჩვენი იქიდან გამოძევება. ვერც გაამტყუნებ. რუსეთი მდიდარი ქვეყანაა და თვითონ უფრო ადვილად მაშინ დაძლევს კრიზისს, როცა ისეთი თანამგზავრი ქვეყნები აღარ ეყოლება, როგორიც ჩვენ ვართ. აი, ამიტომ დაგვჭირდა კუპონების შემოღება. ხალხს დახმარება სჭირდება, — ხელფასები, პენსიები, სტიპენდიები გასაცემია.

ოღონდ ახლა საჭიროა, შევქმნათ კუპონების დამზღვევი მექანიზმები, რომ წონა ჰქონდეს და მალე არ გაუფასურდეს. ეს კი მაშინ მოხერხდება, თუ ამ კუპონებით რაიმეს ყიდვის საშუალება იქნება. ამიტომ, მოინიშნა ის ჩამონათვალი, რაც კუპონებზე გაიყიდება, ამასთან, კუპონებს შეიძლება 100 პროცენტით უპირატესობა მიენიჭოს პრივატიზაციის დროს, აუქციონებზეც ასე იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი ეს მოვლენა გლეხობისათვის არის. ხომ არ მოხდება ისე, რომ გლეხი არ გამოიტანს თავის პროდუქციას და არ გაყიდის კუპონებზე ბაზარში?.. ამაზე ახლა ვფიქრობთ. არის ამის დამზღვევი მექანიზმებიც. მაგრამ ეს საკითხები, რაზეც ახლა ვლაპარაკობ, ყველას საზრუნავია. იქნებ იმაზეც გვემსჯელა, რომ, რაკი ასეთ იძულებით ნაბიჯზე წავედით, გვეფიქრა ხელფასების გაზრდის ისეთ დონეზე, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს მაინც უპასუხებს და სამაგიეროდ, გაგვეთავისუფლებინა ფასები. ეს იმისთვის იქნებოდა საჭირო, რომ ჩვენი ბიუჯეტი კუპონების დროს იმდენს ვეღარ აიტანს, რასაც ადრე იტანდა და ახალ კრიზისში აღმოვჩნდებით. ამიტომ, ჩვენ ცოტა ხანს კიდევ არ შემოვიღებთ კუპონებს და გვინდა ყველამ გამოთქვას თავისი აზრი, მათ შორის, პოლიტიკურმა პარტიებმაც.

ცხადია, მესმის, რომ ეს პროცესი, მაინცდამაინც კარგი რამ ვერ არის, მაგრამ რას იზამ. მერე, როცა ჩვენი საკუთარი ძალისხმევით და საზღვარგარეთის დახმარებით შევქმნით სტაბილიზაციის სერიოზულ ფონდს, როცა ჩვენი მრეწველობა მწყობრში ჩადგება, საკუთარი ვალუტაც გვექნება. კუპონები კი ამ გარდამავალი პერიოდისათვის აუცილებელია. ჩვენ ახლა საკუთარ ვალუტაზე გადასვლის გზას ვადგავართ. ძნელია ეს გზა, მაგრამ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი სხვა გზა არ არსებობს. ჩვენ შეგვეძლია დავრჩეთ სამანეთო ზონაში, მაგრამ მაშინ ჩვენი სუვერენიტეტიდან უნდა დავთმოთ რაიმე, ამას კი ვერ გავაკეთებთ. ამიტომ, ვიცი, ძალიან ძნელი იქნება ეს მომენტი, მაგრამ საბოლოოდ არც ისე უიმედოდ ვარ განწყობილი, ოღონდ მთავარია, მივაღწიოთ კონსოლიდაციას. როცა ამას ვლაპარაკობ, მთელი საზოგადოებრიობის კონსოლიდაციას ვგულისხმობ და ამ მხრივ. ახლა სამართალდამცავ ორგანოებში არსებული მდგომარეობითაც უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ყველა სფეროში და სამართალდამცავ ორგანოებშიც ძალიან ბევრ სიძნელეს აწყდებიან, ბევრი გაუხსნელი საქმეებია. მაგრამ, ვფიქრობ, საქმე წინ წავა. ახლა დამთავრდება იმ საპოლიციო დანაყოფის ფორმირება, რომელმაც სარკინიგზო მაგისტრალები უნდა დაიცვას. ადრე ჩვენ ასეთი რამ არ გვყავდა და, თუ გახსოვთ, იყო აზრი, ამ საქმეში რუსეთის სამხედრო ნაწილები გამოგვეყენებინა. ახლა ჩვენ ჩვენი დანაყოფი გვეყოლება. იგი გარანტიას გვაძლევს, რომ რკინიგზაზე წესრიგი იქნება. ასევე, მიმდინარეობს საავტომობილო ტრასების პოლიციის ფორმირება, რათა დავიცვათ მოსახლეობის უსაფრთხოება. თუ ტრასებზე უცხოელი მოქალაქეების უსაფრთხოებაც უზრუნველყოფილი იქნება, ამით მოგებაც მოიმატებს. ვფიქრობ, ჩვენი პოლიცია საბოლოო სახეს მიიღებს და წესრიგის დროც უნდა დადგეს.

ჩვენ ახლა ისეთ დაძაბულ დროში ვცხოვრობთ, — თქვა დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ძალიან ცოტა დრო გვრჩება საკუთარი სიამოვნებისათვის. არადა, ადამიანთა კულტურული ცხოვრების მოთხოვნილება შინაგანად არასდროს არ ნელდება, ეს ეხება თეატრს, ლიტერატურას თუ კინოს. ამიტომ, როცა კულტურის გადარჩენაზე ვლაპარაკობთ, ეს საკუთარი გულის კარნახსაც გულისხმობს და იმ ხალხის მხარდაჭერასაც, რომელიც ამ ფრონტზე შრომობს, იბრძვის, არ ნებდება. ახლახან ერთ სპექტაკლზე ვიყავი. მინდა ვთქვა, რომ იქ მე მარტო პირადი სიამოვნებისათვის არ წავსულვარ, ვცადე, ამ ადამიანებსაც დავდგომოდი გვერდით, როგორც შემეძლო. ასეთი თანადგომა, საერთოდ, არცთუ კარგი განწყობის მიუხედავად, ყველამ უნდა შეძლოს, ყველამ უნდა გამოვნახოთ დრო იმისათვის, რომ მივხედოთ თეატრსაც, კინოსაც, ჩვენს პრესასაც, იმ პრესასაც, რომელიც ჩვენ ყოველდღიურად გვლანძღავს. ერთი სიტყვით, ახლა ყველაფერს მიხედვა სჭირდება.

საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაში ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საქმეში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გაუმჯობესების, ხელფასების, პენსიების, დახმარებების, სტიპენდიებისა და სხვა გასაცემების ხანგრძლივი დავალიანების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა დამოუკიდებელი კანონიერი საგადამხდელო საშუალების სახით მიმოქცევაში გამოუშვას კუპონები, 5, 10, 50, 100, 500, 1000, 5000 10000 ნომინალებით, რომლებიც მიმოიქცევა მოქმედი მანეთის პარალელურად.

2. თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვროს 1:1.

3. რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებმა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს (საკუთრების ფორმის მიუხედავად) კუპონები მისცენ ხელფასების, პენსიების, დახმარებების, სტიპენდიებისა და სხვა გასაცემების სახით.

4. გამოშვებული კუპონები შეუზღუდავად მიიღონ მიმოქცევაში სამეურნეო სუბიექტებმა (საკუთრების ფორმის მიუხედავად) და ცალკეულმა პირებმა საქონლისა და ყველა სახის მომსახურებისათვის ანგარიშსწორებისას, აგრეთვე საბანკო დაწესებულებებმა, და კავშირგაბმულობის საწარმოებმა ანგარიშებსა და ანაბრებზე ჩასარიცხად, რესპუბლიკის ფარგლებში გზავნილებისათვის.

5. კუპონებით შეტანილ ანაბრებს წლიური პროცენტები დაერიცხება იმავე წესით, როგორც სამანეთო ანაბრებს. საკუპონე და სამანეთო ანაბრები არ განიყოფებიან.

6. საბანკო დაწესებულებებში კუპონებით შესული ამონაგები ორგანიზაციების ანგარიშებზე ჩაირიცხება ერთიანი ფულადი ერთეულით მანეთებით, დადგენილი თანაფარდობით 1:1.

უნაღდო ანგარიშსწორება და აღრიცხვა-ანგარიშგება ეკონომიკაში განხორციელდეს მოქმედი წესისამებრ მანეთებით.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სექტორში და „ცეკავშირის" სისტემაში წარმოებული, აგრეთვე, მთავრობის მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული კრედიტებით შეძენილი ყველა სახის სასურსათო პროდუქცია, მიუხედავად იმისა, რეალიზდება იგი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სავაჭრო ქსელში, გაიყიდოს მხოლოდ კუპონებზე.

სახელმწიფო სააფთიაქო ქსელში მედიკამენტების რეალიზაცია განხორციელდეს მხოლოდ კუპონებზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა სახის სახელმწიფო ტრანსპორტით მომსახურება, აგრეთვე მოსახლეობის კომუნალური გადასახადების, ბინის ქირის, სახელმწიფო ბაჟის, სხვა სახის გადასახადების და მოსაკრებლების (გარდა სავალუტო) გადახდა ნაღდი ანგარიშსწორების დროს განხორციელდეს მხოლოდ კუპონებზე.

კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ფიზიკური პირებისათვის სახელმწიფო რესურსებიდან სასუქების, შხამ-ქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, პირუტყვის საკვების, საწვავ-საცხები მასალების, და სხვა საქონლის მიწოდება ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში მოხდეს მხოლოდ კუპონებში.

საქონლის კუპონებით რეალიზაციის წესი ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ვაჭრობის ორგანიზაციებზე (გარდა დახურული ქსელისა).

8. სახელმწიფო ქონების (მათ შორის ბინების) ნაღდი ანგარიშსწორებით პრივატიზაციის დროს გადახდა მოხდეს კუპონებით.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მყიდველებთან ანგარიშსწორების გამარტივების მიზნით, გადაწყვიტონ საცალო ფიქსირებული ფასებისა და ტარიფების დამრგვალების საკითხი.

10. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ უმოკლეს ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი ფასების შემდგომი ლიბერალიზაციის შესახებ მოსახლეობის სოციალური ინტერესების მაქსიმალურად დაცვის გათვალისწინებით (ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, დახმარებებისა და სხვა სახის ფულადი შემოსავლების გადიდების ჩათვლით).

11. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა:

— ერთი კვირის ვადაში დაამუშაოს ნორმატიული და ინსტრუქციული დოკუმენტები ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ, შეიტანოს აუცილებელი ცვლილებანი ეკონომიკაში საკასო ოპერაციების წარმოების წესში:

— რესპუბლიკის საბანკო სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მანეთებისა და კუპონების გაცვლის ორგანიზება.

12. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ კონტროლი სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა ორგანიზაციების მიერ კუპონების მიღებისა და გამოყენების წესების დაცვისადმი.

რესპუბლიკის საბაჟო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი როგორც იურიდიული, ასევე კერძო პირების მიერ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქონლის გატანის წესების დაცვისადმი.

13. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უმოკლეს ვადაში შეისწავლონ ვაჭრობისა და მომარაგების სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფულის ინკასაციის მდგომარეობა და უზრუნველყონ 1993 წლის 15 აპრილამდე ფულადი ნიშნების (მანეთის კუპიურები) საბანკო სისტემაში დროული და სრული დაბრუნება.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ 10 დღის ვადაში მოამზადოს შესაბამისი ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში.

14. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ორი კვირის ვადაში უზრუნველყოს პირველი რიგის საპრივატიზაციო ობიექტების რეალიზაციის დაწყება.

15. კუპონებისა და მანეთების პარალელურად მიმოქცევის პირობებში ოპერატიული საკითხების გადასაწყვეტად შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი დ. დვალიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მინისტრი მ. ზანკალიანი, საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. დვალი, ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ნ. ფიფია, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ტ. კულულაშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნ. ბაგრატიონი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ი. ზალამბერიძე, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე გ. კობერიძე, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. სალიბეგაშვილი, საინფორმაციო-სადაზვერვო ბიუროს უფროსის მოადგილე მ. კალანდაძე, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მ. ოსაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. ჭუმბურიძე, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ვ. გიორგაძე, ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ჭ. ჩხიკვაძე, საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. თვარიაშვილი, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ. ჭიქია, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნ. დურიძე, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. არჩვაძე.

აღნიშნულ კომისიას უფლება მიეცეს, შექმნას სამუშაო ჯგუფები სათანადო სპეციალისტების მოწვევით.

16. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური რეფორმის შტაბმა სისტემატურად განიხილოს და შეაჯამოს საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო რეგულირების საკითხები, თვალყური ადევნოს კუპონების შემოღების შედეგად, ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში, მიმდინარე პროცესებს და საჭიროების შემთხვევაში, დროული კორექტივები შეიტანოს ფულადი რეფორმის განხორციელების პირველი ეტაპის მიმდინარეობაში.

17. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის.

18. ყალბი კუპონების დამზადება, ყალბი ფულის ნიშნების დამზადების ანალოგიურად ისჯება რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით.

19. ეს დადგენილება ძალამოსილია 1993 წლის 5 აპრილიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა

თბილისი, 29 მარტი, 1993 წელი.

ნომერში

◉ პრივატიზაციამ ეკონომიკის ბედი უნდა გადაწყვიტოს. 3
◉ ექსპრეზიდენტის მომხრენი მიტინგს ეჭიდებიან. 4

იმანუილ კანტის სახელობის ჯილდო ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე გერმანიის საქველმოქმედო ორგანიზაციამ დააჯილდოვა იმანუილ კანტის სახელობის ჯილდოთი 1992 წლისათვის. ეს ჯილდო მიენიჭა აგრეთვე ჰანს-დიტრიხ გენშერს.

ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა ალფრედ ტიოფერმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გამოუგზავნა ახლახან გამოსული საზეიმო ბროშურა ბერლინში ჯილდოების გადაცემის შესახებ.

— სამწუხაროდ, წერს ბატონი ტიოფერი ბარათში, თქვენ ვერ შესძელით ამ ერთი წლის წინათ ჯილდოების გადაცემაში მონაწილეობის მიღება. საქველმოქმედო ორგანიზაციას სურს დამსახურებული ჯილდო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად გაწეული ღვაწლის აღსანიშნავად გადმოგცეთ. ბატონმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა გამოთქვა მზადყოფნა გადმოგცეთ ეს ჯილდო.

იმანუილ კანტის სახელობის ჯილდოს გადაცემის თარიღი და ადგილი თქვენ ამოირჩიეთ, ჩვენი საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის მოსახერხებელი იქნებოდა 1993 წლის 15 ივნისი, სამშაბათი ან უფრო გვიანი თარიღი, რაც შეეხება ადგილს, კარგი იქნებოდა გადაცემის ცერემონია ბერლინის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გამართულიყო.

ბატონი ტიოფერი სთხოვს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეატყობინოს თავისი აზრი ამ წინადადების გამო.

ედუარდ შევარდნაძე რუსეთის სახალხო დეპუტატთა მეცხრე ყრილობის შესახებ

რუსეთის სახალხო დეპუტატთა მეცხრე ყრილობის მუშაობასთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა:

— მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა ჩვენი ვარაუდები. აგრესიულმა, კონსერვატიულმა ძალებმა ვერ გაიმარჯვეს ყრილობაზე, რადგან ყველაფერს ხალხის ნება წყვეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყრილობა, ალბათ, სხვა გზას დაადგებოდა.

ბორის ელცინის მხრივ იყო კომპრომისები, მაგრამ მთავარ საკითხში კომპრომისი არ დაუშვია. ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ასეთი კომპრომისები ნაკლები ყოფილიყო.

თუკი ყრილობაზე ხმების თანაფარდობით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოხდა რეაქციული ძალების კონსოლიდაცია. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გასამარჯვებლად.

რუსეთი იმდენად ბუმბერაზი ქვეყანაა, რომ ვერ გამოვრიცხავ მოსალოდნელ ახალ კატაკლიზმებს. მაგრამ, თუ დემოკრატიული ძალები ხალხს დაეყრდნობიან, მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

ვფიქრობ, რუსეთის პრეზიდენტი განიმტკიცებს პოზიციებს და ჩვენ შევძლებთ შევხვდეთ ერთმანეთს უკვე უახლოეს ხანში, რათა რუსეთმა და საქართველომ იცხოვრონ, როგორც კეთილმა მეზობლებმა.

ძნელი გზა სამშობლოსაკენ

27 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ახალგაზრდა მესხეთელთა ჯგუფს, რომელთა წინაპრები დეპორტირებული იყვნენ საქართველოდან 1944 წელს. ეს ახალგაზრდები ახლა თბილისში სწავლობენ, ეუფლებიან დედაენას, სწავლობენ საქართველოს ისტორიას, რათა შემდეგ ქართული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები გახდნენ. მიუხედავად სიძნელეებისა, რომლებსაც რესპუბლიკა განიცდის, ისინი საყოველთაო მზრუნველობით არიან გარემოსილი, რათა გაუადვილდეთ ადაპტაციის პროცესი. შეხვედრაზე შეეხნენ იმ გადასაწყვეტ პრობლემებს, რომ ეტაპობრივად დაბრუნდნენ სამშობლოში ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ფერგანის ცნობილი ამბების შემდეგ წარმოუდგენელ სიძნელეებს განიცდიან. დაისვა საკითხი, რომ შემუშავდეს მათთვის მოქალაქეობის მიცემის, მათი ნამდვილი გვარების აღდგენის მექანიზმი და სხვ.

ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად, აღნიშნა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ, საჭიროა შევიმუშაოთ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც პრაქტიკულად მოიცავს ამ პროცესის ყველა ასპექტს.

შეხვედრა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დელეგაციასთან

27 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დელეგაცია, რომელიც, აი, უკვე მეოთხე თვეა, რესპუბლიკაში იმყოფება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი გზების ძიების მიზნით.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს, განიხილეს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მოლაპარაკების, ნორმალური პროცესის მოგვარების ჯერ კიდევ შემაფერხებელი პრობლემები. კერძოდ, დაახასიათა რა აფხაზეთში საომარი მოქმედების ზონაში შექმნილი ვითარება, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ სიტუაცია იქ, სამწუხაროდ, მუდმივად იცვლება იმის კვალობაზე, თუ როგორ ვითარდება მოვლენები რუსეთში. ანალოგიურად, გავლენას ახდენენ იქ მიმდინარე მეტად რთული პროცესები საქმის ვითარებაზე ცხინვალის რეგიონშიც. დარწმუნებული ვართ და იმედს ვამყარებთ იმაზე, რომ რუსეთის დემოკრატიული ძალები პრეზიდენტ ბორის ელცინის მეთაურობით გაიმარჯვებენ კონსერვატიულ, ნეოკომუნისტურ ძალებთან ბრძოლაში, რაც მოგვცემს შესაძლებლობას მოვაგვაროთ ყოვლისმომცველი ხელსაყრელი, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ამ მეზობელ ქვეყანასთან, ისე წარვმართოთ ვითარება, როგორც ეს მიღებულია თანასწორუფლებიან სუვერენულ სახელმწიფოთა შორის.

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ხალილ აკინჯიმ სახელმწიფოს მეთაურს გააცნო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მისიის უკანასკნელი მოგზაურობის შედეგები, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ისახება გარკვეული ტენდენცია კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პოზიციების დაახლოებისათვის, რომლებიც აცხადებენ, რომ მზად არიან, აწარმოონ მოლაპარაკება ევროთათბირის ეგიდით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის პრეს-მდივნის განცხადება

25 მარტს პარლამენტის სხდომაზე მოწვეული იყო საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც პასუხი გასცა პარლამენტის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის მსვლელობისას საუბარი შეეხო ტერორისტული აქტების განხორციელების რეალურად არსებული საშიშროების გამო სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების უსაფრთხოების საკითხებსაც, რასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელთა დაცვა სახელმწიფოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანებს განეკუთვნება.

სამწუხაროდ, ამ კონტექსტში პარლამენტის სხდომაზე დეპუტატის მიერ პრეზიდენტყოფილის ავადსახსენებელი ჯავშნიანი „მერსედესის" გაყიდვით დაინტერესება ზოგიერთისათვის საკმარისი აღმოჩნდა ნაჩქარევი დასკვნის გამოსატანად, თითქოს ვინმეს დაესვას სახელმწიფოს მეთაურის მიერ ამ მანქანის გამოყენების საკითხი. სინამდვილეში ასეთი რამ არც პარლამენტში და არც სხვაგან არასდროს არ დასმულა.

სახელმწიფოს მეთაურის პრეს-სამდივნო უფლებამოსილია განაცხადოს — მიუხედავად იმისა, რომ კომპეტენტური ორგანოები შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებაში მართლაც თვლიან აუცილებლად სახელმწიფოს მეთაურისათვის ჯავშნიანი ავტომანქანის გამოყოფას, ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნების დღიდან წინააღმდეგი იყო და არის ყოველგვარი ძვირადღირებული, ნორმალურ პირობებში ქვეყნის ხელმძღვანელისათვის აუცილებელი საგნების შეძენისა, თუნდაც ეს პირადი უსაფრთხოების მიზნებით იყო ნაკარნახევი.

კუპონები — აუცილებელი ეტაპია ეროვნულ ვალუტაზე გადასასვლელად

28 მარტს გამართული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, განსხვავდებოდა ყველა ადრე გამართულ თათბირებისაგან. ეს გამოწვეული იყო სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის განხილვით — საქართველოში კუპონების ბრუნვაში შემოღებით. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის მინისტრები, კომიტეტებისა და დეპარტამენტების თავმჯდომარეები, მეცნიერებათა აკადემიის, პრეზიდიუმის წევრები, უნივერსიტეტების რექტორები, ეროვნული ბანკის და მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელები, ბიზნესმენები, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები, ადგილობრივი ბანკების მმართველები, რაიკოოპერატივების გამგეობათა თავმჯდომარეები, ინფორმაციის სამსახურის წარმომადგენლები.

ინფორმაციები „საქართველოში კუპონების შემოღების შესახებ“ გააკეთეს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკური რეფორმის შტაბის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა კახა პოპიაშვილმა. მათ დაასაბუთეს კუპონებზე გადასვლის აუცილებლობა, რომელიც რესპუბლიკას საშუალებას მისცემს, გამოვიდეს სამანეთო ზონიდან. კუპონების საშუალებით მოსახლეობა მიიღებს ხელფასებს, პენსიებს, სტიპენდიებს. კუპონებზე გაიყიდება ყველა პირველი მოთხოვნილების საქონელი, განხორციელდება პრივატიზაცია და ყოველგვარი კომუნალური გადასახადი.

კუპონების შემოღება არ ნიშნავს ფულის რეფორმას და მოსახლეობა ნდობით და გაგებით უნდა შეხვდეს ამ პროცესს.

ინფორმაციამ დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. თათბირის მონაწილეებს აინტერესებდათ, როგორ იმუშავებენ თანამეგობრობის ქვეყნების წარმოებებთან უკვე დადებული ხელშეკრულებები, როგორ მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებები, რა ღონისძიებებია საჭირო, რომ კუპონი არ იყოს დევალვირებული, რამდენი ხანი იქნება ხმარებაში კუპონი, როდის შემოვა ეროვნული ვალუტა-ლარი და სხვა.

— თუ ჩვენ გვინდა ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, კუპონების შემოღება აუცილებელი ნაბიჯია, — თქვა თავის გამოსვლაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. — ეს არის აუცილებელი ეტაპი, რომელიც უნდა გავიაროთ, ვიდრე შემოვიღებთ ეროვნულ ვალუტას. თუ ადრე, სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი გვაძლევდნენ რეკომენდაციას, არ გამოვსულიყავით სამანეთო ზონიდან, ახლა აზრი შეიცვალა და ისინი გვირჩევენ, რაც შეიძლება ჩქარა დავტოვოთ სამანეთო ზონა. ჩვენი სახელმწიფო მდიდარი რესურსებით რომ იყოს, მაშინ შეიძლებოდა უმტკივნეულოდ გადავსულიყავით ეროვნულ ვალუტაზე, მაგრამ დღეს, როცა ჩვენი ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაშია, ეს შეუძლებელია. რუსეთთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, საქართველო აიღებს კრედიტს, მაგრამ დანაშაული იქნება, რომ კრედიტები ხელფასად ვაქციოთ. რუსეთის ბაზარზე უნდა შევიძინოთ ენერგომატარებლები, პური და სხვა მეტად აუცილებელი რამ. ბატონმა ედუარდმა თათბირის მონაწილეების ყურადღება შეაჩერა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროა, ეკონომიკის გამოცოცხლებისათვის, აუცილებელია, რომ რეფორმის შტაბმა შეაჯამოს ყოველდღიური მუშაობა. რაც ითქმება — ის უნდა შესრულდეს.

რაც შეეხება კუპონების შემოღების ვადას, საჭიროა მოსახლეობასთან მოთათბირება, კუპონების შემოღების დეტალური ინსტრუქციის დამუშავება, ფასების და ხელფასების მოწესრიგება, ეტაპობრივად გადასვლა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე.

თათბირზე დაისვა საკითხი სტაბილიზაციის ფონდის შექმნის თაობაზე. ამ ფონდის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ არა მარტო თანამეგობრობის ქვეყნები. ვისთანაც ჩვენ გვექნება დადებული ხელშეკრულებები, არამედ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროგაერთიანება და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

ხაზგასმით იყო ნათქვამი, საგადასახადო სისტემის რეფორმის დაჩქარებაზე. მეწარმეებს ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, მაგრამ სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს კრედიტების პირდაპირი დანიშნულებით გამოყენებაზე. ეროვნული ეკონომიკის ძარცვის ყველა წყარო უნდა გადაიკეტოს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეკონომიკა ამოძრავდეს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის 1993-1995 წლების პროგრამა. ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი. მანვე გააკეთა ინფორმაცია რესპუბლიკაში სამობილიზაციო მზადყოფნის მდგომარეობის და რესპუბლიკაში წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

●

სურათებზე: რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე, რომელიც 28 მარტს გაიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

იოსებ დავითაშვილისა და ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჟურნალისტური მივლინებით

როცა მეჯინისწყალთან საქართველოს ვეძებთ

გია ჟელიძე

უცნაური, თავისებური პროფესია გვაქვს ჟურნალისტებს... წლების მანძილზე იმდენი გვაქვს ნანახი, განცდილი თუ გადახარშული, რომ მითქმა-მოთქმა თუ ჭორი ძნელად თუ გვაკარგვინებს წონასწორობას, მაგრამ...

ხომ გაგიგონიათ: ხეს რომ ათასჯერ შესძახო გახმიო, — თუ არ გახმა, შეიძლება შეტორტმანდეს მაინც. ეტყობა, დღევანდელი აურზაურისა და მითქმა-მოთქმის შემხედვარე, ასეთ დღეში ვართ ყველანი, მათ შორის ჟურნალისტებიც, თორემ სხვა დროს, აბა, ამ მკრეხელობას როგორ ჩავიდენდი რომ აჭარაში საქართველო მეძებნა.

ჩემი ჟურნალისტური მივლინების დროს ვინ არ ვნახე, ვის არ ვესაუბრე — მინისტრებს, მწერლებს, ჟურნალისტებს, მეზღვაურებს, დოკერებს, მაგრამ რაღაც შინაგანი უკმარისობის გრძნობა მაინც არ მაძლევდა მოსვენებას, რადგან ნამდვილი აჭარა მაინც სოფელია, ის გლეხკაცია, რომელიც სულს უდგამს და ამშვენებს ამ ულამაზეს კუთხეს.



აი გზაც.... სოფელ მეჯინისწყალში გავლისას გზისპირას ერთი ლამაზი სახლი დავლანდე. მანქანა შევაჩერე და ეზოში მოფუსფუსე ჭარმაგ მასპინძელს გავძახე:

— მობრძანდი, ჩემო ბატონო, გამახარეთ სტუმრობით — მეგებება და ,თავს მაცნობს იაშა გვიანიძე — აქაური აგროფირმის წევრი, ხუთი შვილის მამა. მერე ჯალაბობაც გამოდგება. მრავალშვილიანი ოჯახის დედა, 88 წლის ქუნქარ-ხანუმი, მეუღლე, ცნობილი მეჩაიე — ვარდო გვიანიძე, შვილებიც ჩამწკრივდნენ: — ემზარი, ნუკრი, ლიანა, ჯამბული....

— მეხუთე სადღა არის-მეთქი? — ვეკითხები.

— მაია ხულოში გვყავს — ქრისტიანულ სასულიერო სასწავლებელში — თითქმის ერთდროულად მიპასუხებენ ცოლ-ქმარი — აიჩემა, ჩემი წინაპრების სარწმუნოებას უნდა დავუბრუნდეო და....

იაკობი და ვარდო ოდის პირველ სართულზე რკინის ღუმელით გამთბარ ოთახში მეპატიჟებიან... გზადაგზა ჩემი სტუმრობის მიზანზე ვესაუბრები, მაინტერესებს-მეთქი როგორ უყურებთ იმას, რაც თქვენ ირგვლივ ხდება. თქვენი აზრით, დღეს ყველაზე მეტად რა უჭირს აჭარასა და საერთოდ, საქართველოს?

— ძალიან ბევრი რამ, ჩემო ბატონო, — პირდაპირ საქმეზე გადადის მასპინძელი, — მაგრამ თავი და თავი გაჭირვება მაინც ის გაურკვევლობაა, რომელიც დღეს არის ჩვენშიც და სხვა სოფლებშიც. შარშან პრივატიზაცია წამოიწყეს, მაგრამ უშედეგოდ. ან კი რა უნდა გაკეთებულიყო ცენტრიდან მიღებული დროებითი დებულებით. მით უმეტეს მაშინ, როცა არ გვქონდა მიწის კანონი. ჩვენს სოფელსა და მის აგროფირმას სულ გვაქვს 70 ჰექტარი ციტრუსის პლანტაცია, 20 ჰექტარი ჩაი, სულ რაღაც 5 ჰექტარი თავისუფალი ფართობი, გვყავს 7.000 სული მსხვილფეხა თუ წვრილფეხა პირუტყვი. სოფელში კი 1400 მრავალშვილიანი ოჯახი სახლობს. ბიჭი ხარ და, გაუნაწილე? ამას რომ იტყვიან, მამაზეციერიც ვერაფერს უშველის, თუ თავად სოფელმა არ შეიმუშავა პირობები და არ მიაწოდა ხელისუფლებას. ყველაზე უმთავრესი კანონი ჩვენთვის სოფლის გადაწყვეტილება უნდა იყოს, რადგან სოფელზე უკეთ არავინ იცის, როგორ მოუაროს ამ პრობლემებს.

ისტორიულად ასე ყოფილა. ეს სოფელი სამ გვარს ეკუთვნოდა — ჩიქლიიშვილებს, გვიანიძეებს და ბიბილეიშვილებს. კოლექტივიზაციის დროს იაკობის მამას 40 ჰექტარი გადაეცა კოლმეურნეობისათვის. ახლა კი მის ხუთშვილიან ოჯახს სულ რაღაც 1300 კვ. მეტრი ნაკვეთი აქვს.

— მაგრამ მე როდი ვითხოვ— გინდათ თუ არა, მამაჩემისეული ჰექტრები დამიბრუნეთ, — მეუბნება იგი, — კარგად მესმის, რომ რაღაც ფართობს დამიბრუნებენ პრივატიზაციის დროს, მაგრამ ეს ისე, უნდა მოხდეს, რომ გათვალისწინებული იქნეს სოფლის ყველა მცხოვრების ინტერესი. უპირატესობა კი, ცხადია, იმას უნდა მიენიჭოს, ვინც წლების მანძილზე შრომობდა კოლმეურნეობაში და მხარში ედგა სოფელს. ასეა თუ ისე, ეს ყველაზე კარგად სოფელმა იცის, და ამ შემთხვევაში უპირველესად მის აზრსა და გადაწყვეტილებას უნდა ვენდოთ.

მართლაც, რა საამო სანახავია მრავალშვილიანი ოჯახის წესი და ადათი... თვალის შევლებასაც ვერ მოასწრებ, როგორ ფუტკარივით აფუსფუსდება ყველა, როგორ ჩნდება სახელდახელო სუფრაზე აჭარული გლეხკაცის ხელით მოწეული მანდარინი, ფორთოხალი, ნუგბარი, როგორი სათნო მიმზიდველი იერით დატრიალდება თავს დიდი თუ პატარა... მაპატიონ, მაგრამ ამას ვერც რუსი იზამს და ვერც თურქი, ვერც ამერიკელი. ამას ერთადერთი — ქართველობა, ქართული გენი სჭირდება. სწორედ ისეთი, გვიანიძეებს რომ აქვთ. ხედავ, გრძნობ ამას. სადღაც გულის კუნჭულში კი რაღაც ანგარიშმიუცემელი სირცხვილის გრძნობა გტანჯავს იმ ზოგიერთი ურწმუნო მავანის გამო თავიანთი ავყია ენაჭარტალობით რომ იჭრება და გესლს ანთხევს აჭარისა თუ აჭარლების მიმართ.

პაი დედასა, სადამდე მივედით? მეჯინისწყალთან საქართველოს ვეძებთ, მოდი და, ნუ გაეცინება კაცს!

აი, ყველაზე უმცროსი — ლიანა სასტუმრო ფინჯნით საგანგებოდ მომზადებულ ყავას მაწოდებს. ღიმილი უხდება, რომ იტყვიან, ხატავს... ოჯახის უფროსი საკუთარი ხელით გამოხდილი არყით მივსებს პატარა ჭიქას...

—ღმერთმა აგაშენოთ, გამრავლოთ და გაბედნიეროთ-მეთქი, ვლოცავ გვიანიძეებს და თვალი იქვე კედელზე, ყველაზე საჩინო ადგილზე დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატისკენ გამირბის. აიშენოს ღმერთმა, თავადვე ხვდება ჩემს გულისნადებს მასპინძელი და ხუმრობის კილოთი შორიდან იწყებს:

—- ამასწინათ თურქეთიდან სტუმარი გვყავდა — ერთი დიდი ჯამეს ხოჯა — ჩვენი ნათესავი. მისი სტუმრობის დროს აქ არაფერი შეიცვლილა. ისევ ეკიდა ეს კალენდარი ამ ნახევრადშიშველი ლამაზი ქალბატონით, იქით კი, ღვთისმშობელი. სტუმარი ხომ გავისტუმრეთ, მეზობელ-ნათესავებმა ერთი ვაი-ვაიში ამიტეხეს, — ეს როგორ მოგივიდა მუსლიმან კაცსო, რა ვიცი, თავად ხოჯას არაფერი უთქვამს, პირიქით, ასე გამოგვიცხადა: მთავარია ღმერთი გწამდეს, თორემ ლოცვით, ვისაც სად სურს, იქ ილოცებსო. მეც ასე მწამს და ამიტომაც არ დამიშლია ჩემი ქალიშვილისათვის ქრისტიანულ სასწავლებელში სწავლა. — ისე კი, — განაგრძობს იაშა, — ხომ გაგიგონიათ, აკრძალული ხილი გემრიელიაო. აბა, ერთი წუთით დაუშვათ, რომ ჩვენი აჭარის ხელმძღვანელებს გამოეცხადებინათ: — გინდათ თუ არა ქრისტიანულ ტაძარში ილოცეთო. ხალხის ამბავი ხომ იცით, მაშინ ყველა ჯამეში გაიქცეოდა. ახლა კი, ათასობით აჭარელი თავად ირჩევს, სად წავიდეს, სად ილოცოს. ნახეთ ერთი, რა ამბავია ჩვენს ეკლესიებში, რამდენი ნათლობა, რამდენი ჯვრისწერა. ახლა ბათუმში ბერძნებსაც აქვთ თავიანთი ტაძარი. რუსებსაც, სომხებსაც, ებრაელებსაც. სარწმუნოება სრულ თავისუფლებას მოითხოვს, აქ არ შეიძლება რამე ჩარევით ან ბრძანებით გააკეთო. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, ვინ ვართ და საიდან ვართ, ამიტომაც საუკუნეების მანძილზე ვუფრთხილდებოდით ენას, ტრადიციებს, ადათ-წესებს, სიმღერას, ცეკვას, ვინახავდით ქართულ ეკლესიებს. ახლა ჩვენი შვილები გრძნობენ იმ სიკეთეს, ჩვენ წინაპრებმა რომ შემოგვინახეთ და არჩევანსაც თავად აკეთებენ.

ზოგიერთი კი ამ ჩვენს სარწმუნოებრივ პრობლემას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებს. რას არ წერენ, რას არ გადმოსცემენ. რა უნდა, კაცო, ამ ხალხს, — მაინც და მაინც უნდათ წაღმა ატრიალებული ბორბალი ისევ უკუღმა დაგვაბრუნებინონ? — იცით, კი, როგორი გამოძახილი აქვს ამისთანა დაუფიქრებელ მითქმა-მოთქმას იქ, თურქეთში, სადაც მილიონობით ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს? — მეკითხება იაკობი და განაგრძობს: აი, ერთ ჩემს ახლობელს თურქეთში უთხრეს — საქართველოში თუ ჩამოხვალ მუდმივად საცხოვრებლადო. წარმოიდგინეთ, მტკიცე უარი განუცხადა: — აქ თურქეთში მე გურჯს მეძახიან, თქვენთან რომ ჩამოვიდე — თათარს დამიძახებთო. ვერა და ვერ შეეგუა ჩვენი ხალხი იმ სინამდვილეს, რომ მილიონობით ქართველი მუსლიმანია. ყოფილი პრეზიდენტი კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა და მიტინგებზე გაიძახოდა— ქრისტიანულ საქართველოს გაუმარჯოსო!... აი მაშინ ვიგრძენით, რომ იწყებოდა დიდი განხეთქილება და არც შევცდით. ისე კი, რა ხალხი ვართ, თითქოს ძველი უბედურება არ გვყოფნიდეს, ახალს თავადვე ვიჩრებთ. იმის ნაცვლად, რომ ჭკუა ვიხმაროთ, ორივე ქრისტიანული თუ მუსლიმანური საქართველო ერთი მიზნით გავაერთიანოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ. ჩვენ როცა ერთმანეთს ასე ვებრძვით, ვხოცავთ, ვძარცვავთ, მაშინ აფხაზებისა და ოსების შემორჩევა რაღა უნდა გვიკვირდეს? მესმის, გშიოდეს და მოიპარო, მაგრამ როცა მშობლებს ბავშვს სტაცებ და გამოსასყიდს ითხოვ, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაგვარებულვართ და რაც ხდება ჩვენ თავს ახი ყოფილა ჩვენზე.

ამ რამდენიმე თვის წინათ ერთი 13 სული მომადგა კარზე — სოხუმიდან ლტოლვილები იყვნენ, ჩემი ქალიშვილის მეგობრის— ზარანდიების ოჯახი. ერთი მოგესმინათ რას ამბობდნენ, რას გვიყვებოდნენ ჩვენს სამხედროებზე. რაც რამ გვებადა, ყველაფერსგან გავეცალეთ — მოთქვამდნენ. მოდი და, ნუ ეტყვით მადლობას ასლან აბაშიძეს, რომ ერთი ასეთი ჯგუფის შეჭრებაც არ დაუშვია აჭარაში. ახლა ჩვენც გვეჭირს, მაგრამ ის სიკეთე მაინც გვაქვს, რომ არავინ გვიხვდება გზაზე, არ გვეჭრება სახლში და არ გვძარცვავს. აბა, იმაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს, როცა საკუთარ მიწაზე ლტოლვილად იქცევი, — გულდაწყვეტილი განაგრძობს მასპინძელი. — სამი თვე შევიფარეთ ზარანდიები, დავამშვიდეთ, დავუყვავეთ, მოვუარეთ, შემდეგ კი ქუთაისში გავამგზავრეთ ნათესავებთან. სტუმრები წავიდნენ, მაგრამ დარდი და საფიქრალი დაგვიტოვეს. ხშირად ვიხსენებ მათ გულისწუხილს ჩვენი ყოფილი ხელისუფლების ბედოვლათობის გამო, ისინი ხედავდნენ, როგორ აიარაღებდნენ ხალხს აფხაზი სეპარატისტები, როგორ ემზადნენ მათ ქართველების წინააღმდეგ. მათ კი დამცველი და პატრონი არავინ გამოუჩნდა, იარაღიც კი არ მისცეს, რათა საკუთარი ოჯახები თავად დაეცვათ. შემდეგ რაც მოხდა ყველამ კარგად ვიცით.

აჭარაშიც იყო მცდელობა, შეექმნათ ე. წ. გვარდიისა თუ მხედრიონის ჯგუფები. შექმნეს კიდეც. მაგრამ როცა დავინახეთ, როგორ გათავხედდნენ ისინი, მაშინ მთელი ხალხი ავიყარეთ, წინ გავირეკეთ, ბათუმში ჩავიყვანეთ და კატეგორიულად მოვთხოვეთ ხელისუფლებას აელაგმა მათი პარპაში. რაც შეეხება სიმშვიდესა და წესრიგს, მისი დაცვა სოფელში ჩვენ ვიკისრეთ, სოფლის ყოფილ სახალხო რაზმელებს დავურიგეთ იარაღი. ეს იარაღი გვაქვს აღრიცხვაზე და ყველამ ვიცით, ვინ არის პასუხისმგებელი მასზე.

ასეთმა ვითარებამ ბევრს წაუხდინა აჭარაში დაუსჯელად პარპაშის მადა.

რაც შეეხება იარაღს, მას არავინ ატარებს ქუჩაში. სადაც წესრიგის დაცვა პოლიციას აქვს დავალებული. ასეა მდინარე ჩოლოქიდან აჭარის მაღალმთიან სოფლებამდე, ასე რომ, ჩვენ თავად ვუვლით ჩვენს სოფელსაც და საძმოსაც.

პრობლემები მართლაც ბევრი აქვთ... აჭარაშიც ისევე უჭირთ, როგორც მთელ საქართველოში. უჭირთ გვიანიძეებსაც, მაგრამ, როგორც თავად ამბობენ, იხტიბარს არ იტეხენ, შრომობენ, იღვწიან, ადგებიან სოფელს და სოფელიც მხარში უდგათ. მხოლოდ ასე — თანადგომით, სიყვარულითა და სიკეთით ფიქრობენ ისინიც და მათი თანასოფლელებიც გასაჭირიდან თავის დაღწევას და ამასვე მოითხოვენ მთელი საქართველოსაგან.

მადლობას ვუხდი გვიანიძეებს კეთილი მასპინძლობისათვის, ისევ მივყვები სოფლის შარას და გავცქერი გზის ორივე მხარეს მანდარინის ბაღებით გარშემორტყმულ ლამაზ სახლებს, ეზოებში მოფუსფუსე ადამიანებს და სიამაყესთან ერთად ეს კითხვა მაინც არ მასვენებს:

— რა ვიცი, დამიჯერებს კი ვინმე ურწმუნო იმას, რომ აქ მეჯინისწყალში, გვიანიძეებთან ნამდვილი აჭარა, ნამდვილი საქართველო ვიხილე?

სიტყვა პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს

„ჩემი სიმპათია უფრო „პოლონური ვარიანტის“ მხარეზეა“—

ამბობს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის და კომუნალური მეურნეობის საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ლეკიშვილი.



დაიბადა 1947 წელს თბილისში. დაამთავრა ხპი ინჟინერ-თბოენერგეტიკოსის სპეციალობით და მოსკოვის სახალხო მეურნეობის მართვის აკადემია ეკონომიკის განხრით. მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ პარტიულ სამუშაოზე. სხვადასხვა დროს იყო თბილისის პირველი მაისის რაიონის ალმასკომის თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი, თბილისის ქალაქკომის მდივანი, საქალაქო საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე. არჩეული იყო წინა პარლამენტის წევრად. ბოლო დროს კი ერთ-ერთი საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

— ბატონო ნიკო, წინა ხელისუფლების დროს საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე ყოფილი ცკ-ს მდივნის რანგში იყო, კურირებდა ამ კომისიაში შემავალ დარგებს და არც იშვიათად მინისტრებს თუ საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებსაც კი ნიშნავდა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან შეთანხმებით. ახლა, ეტყობა, მოიშალა ეს მავნე პრაქტიკა.

— რასაკვირველია, ახლა ასე არ არის. კომისიები ძირითადად კანონშემოქმედებითი მუშაობას ეწევიან. მათ ფუნქციებში შედის აგრეთვე შესაბამისი დარგების საკანონმდებლო კონტროლის საკითხები.

— მართლაც, რატომ უნდა ჩაერიოთ ორგანიზაციულ საკითხებში. თქვენ ხომ საზრუნავი და საკეთებელი ისედაც თავზე საყრელად გაქვთ.

— გეთანხმებით, თუ არ მივიღეთ მთელი რიგი კანონები, ჩვენი ეკონომიკა ვერ იმუშავებს. უკვე მზადაა კანონები ენერგეტიკის, საავტომობილო გზების, სახელმწიფო საწარმოს შესახებ. ვმუშაობთ ქალაქმშენებლობის საფუძვლების, სამშენებლო-ტექნიკური დოკუმენტაციის სახელმწიფო ექსპერტიზის კანონებზე. ამჟამად სულ 15 ასეთი დოკუმენტი მზადდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ სანამ არ მივიღებთ სხვა ეკონომიკურ კანონებს — იჯარის, საკუთრების გამიჯვნის, უცხოური ინვესტიციების, მიწის კოდექსის, მოქალაქის სტატუსის შესახებ — შეუძლებელია ზემოხსენებული დოკუმენტების სესიაზე გატანა.

— ხშირად მთავრობა პასიურობაში გდებთ ბრალს: აი, პარლამენტი რომ უკეთ მუშაობდეს, აი, ესა და ეს კანონი რომ გვქონდეს...

— მე არ ვიცი, რას ნიშნავს „პასიურობა“. შეუძლებელია ეკონომიკური კანონის ორ-სამ თვეში შემუშავება. ამ დღეებში დაიწყება იჯარისა და საკუთრების კანონების განხილვა. საერთოდ, კანონი კომისიაში არ იბადება, ხანდახან მთავრობაც უნდა „გვიკვეთავდეს“ ქვეყნისთვის საჭირო კანონს. მაგალითად, გადასახადების კანონი ჯერ ფინანსთა სამინისტროში უნდა დამუშავდეს. თუმცა ეს პროცესი ხშირად პარლამენტის სხდომებზეც ჭიანურდება.

— ალბათ, იმის გამო, რომ პარლამენტარებს ბევრი შენიშვნა აქვთ და კამათი ზოგჯერ რამდენიმე დღე გრძელდება. მაგალითისათვის იარაღის კანონიც კმარა.

— ხშირად ისეთი ხალხი კამათობს, ვინც მოცემულ საკითხებში საერთოდ არ არის ჩახედული. ეს ძალიან ცუდი პრაქტიკაა. ცივილიზებულ მსოფლიოში ცოტა სხვანაირად მუშაობენ. ჩვენთან დამუშავებულ, სხვა კომისიებთან შეთანხმებულ კანონებზე პარლამენტში თავიდან იწყება დავა, კამათი. სპიკერმა, პარლამენტის სხვა ხელმძღვანელებმა უნდა მართონ სიტუაცია, თორემ ვერცერთ კანონს ვერ მივიღებთ და საკანონმდებლო ჩიხში აღმოვჩნდებით.

— ბევრი პარლამენტარი და ხშირად მთელი კომისიაც არ იწონებენ დღევანდელი მთავრობის კურსს და კონფლიქტში არიან მასთან. როგორია თქვენი პოზიცია?

— ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. მრავალი საკითხი განვიხილეთ ერთად და კონსულტაციებიც გავუწიეთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავრობა უმეტესად ყოველდღიური, ოპერატიული საქმიანობითაა დაკავებული და პერსპექტივებზე ფიქრისთვის ველარ იცლის. ვიცი, არსებობს ეკონომიკური რეფორმების კარგი კონცეფცია, მაგრამ მისი განხორციელება არ ხერხდება. პრივატიზაცია ვერ დავიწყეთ. ამ ხნის მანძილზე 30 წარმოებასაც ვერ გავუჩინეთ პატრონი. ეს ცუდია. ისეთი ხელისუფლება, რომელიც დღეს ერთს ამბობს, ხვალ კი სხვას აკეთებს, მეწარმის ნდობას აკარგვინებს. ამიტომაც ბევრი მეწარმე რუსეთში წავიდა და გაიტანა კაპიტალი. გარწმუნებთ, რეფორმების კონცეფცია არის, მაგრამ არ ვიცით, რა გავაკეთოთ, როგორ გავაკეთოთ.

— სოციალური კატაკლიზმებისა ხომ არ ეშინია ხელისუფლებას?

— ვერ გეტყვით. ეს რაღაც სინდრომია. გვეშინია, არ დავუშვათ განსაკუთრებული შეცდომები. გაბედულების გარეშე კი წარმოუდგენელია წინსვლა. ვიცი, პრივატიზებული საწარმოები, უსინდისო ხალხის ხელშიც მოხვდება და პატიოსანთა ხელშიაც. მაგრამ უდავოა, რომ თუ არ გავუჩენთ პატრონს ქვეყანას, წინ ვერ ვივლით. ძველი სტრუქტურების აღდგენითაც ვერ მივაღწევთ ვერაფერს.

— ზოგი პარლამენტარი საქართველოს ეკონომიკის კატასტროფას დღევანდელ მთავრობას აბრალებს და მინისტრთა კაბინეტის გადადგომას მოითხოვს. მკითხველისათვის საინტერესოა თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე.

— ასე კატეგორიული ვერ ვიქნები. ბუნებრივია, ძალიან სერიოზული მოქმედებაა საჭირო. თუ არ ავმოქმედდებით და უახლოეს ხანში არაფერი შეიცვლება, ალბათ, დადგება მთავრობის ნდობის საკითხიც. ჩვენს დარგებში მინისტრებად ძირითადად კომპეტენტური ადამიანები დაინიშნენ. მათ საბაზრო ეკონომიკამ უნდა გაუხსნას ხელები.

— ბატონო ნიკო, სპეციალისტები თვლიან, რომ ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი „ბაზრის“ მშენებლობის კურსი და ჩვენ რაღაც უმიზნო, „არსაითკენ“ მიმავალ გზას ვადგივართ. თქვენი აზრით, „ბაზრის“ რომელი ვარიანტი გამოდგება საქართველოს რთულ, მეტად სპეციფიკურ პირობებში?

— საქართველო რადიკალური ეკონომიკური რეფორმების გზით უნდა წავიდეს. ამდენად, ჩემი სიმპათია უფრო „პოლონური ვარიანტის“ მხარეზეა.

— ეს ხომ ჩვენთვის კარგად ცნობილი და გამოცდილი „შოკური თერაპიის“ გზაა, რომლის მძიმე, სოციალურ წინააღმდეგობებს თვით საკმაოდ განვითარებული, ერთიანი და კულტურული ევროპული ქვეყანა — პოლონეთიც კი ვერ აცდა. გაძარცული, გაღატაკებული ხალხის ქუჩაში გამოსვლისა არ გეშინიათ?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ სხვა გზაც რომ არ არის? რაც მეტად გაიწელება რეფორმის ვადები, მით უფრო დიდხანს იქნება ჩვენი ხალხი ამ დაბეჩავებულ მდგომარეობაში. წარმოიდგინეთ, სამრეწველო წარმოების მოცულობამ შარშან შარშანწინდელის რაღაც 53,7 პროცენტი შეადგინა. ამ დროს საიჯარო და კერძო საწარმოებში გაცილებით უკეთესი შედეგებია. გამსახურდიამ არ დაიწყო პრივატიზაცია, დროებითმა მთავრობამ არ დაიწყო. დღესაც ასეა. ერთი მაღაზია და ქარხანა რა არის — ისიც ვერ გაგვიყიდია!..

— ხალხი ამბობს: ძირითად სამეურნეო სიმძლავრეებს ისინი დაეუფლებიან, ვინც ათასგვარი მრუდე გზით იშოვა ფული, სინდისი და ადამიანობა კი დაკარგა... ამნაირი პრივატიზაცია ჩვენ რა, ხეირს მოგვიტანსო.

— პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, საწარმო-დაწესებულებების აქციონირებას უნდა მიენიჭოს. ჩვენი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი წარმოების სფეროში არ არის დასაქმებული, ამიტომ მათ უნდა დაურიგდეთ ე. წ. საპრივატიზაციო ბარათები. საერთოდ, თვითონ ცხოვრება დაალაგებს ყველაფერს და კაპიტალს საბოლოოდ მაინც ის დაეუფლება, ვისაც მისი მართვა და გამდიდრება შეუძლია. თუმცა, ყველაფერი არ უნდა გავყიდოთ. სტრატეგიული მიმართულების საწარმოები — მსხვილი, მათ შორის სამხედრო ქარხნები, ფაბრიკები სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს...

არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ წინასწარ უნდა განისაზღვროს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ზოგიერთი პრიორიტეტული მიმართულება. რას ვგულისხმობ?

— საქართველოში ტრადიციულად კარგი პირობებია მსუბუქი და კვების მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის. ყოველთვის სხვაზე ხომ არ ვიქნებით დამოკიდებული? — საჭიროა გაზის, ნავთობის, წყლის, ქარის... ენერგიების პრობლემებზე ფიქრი. სამინისტროებს ვთხოვეთ მრეწველობის იმ დარგების პრობლემატიკის დამუშავება, რომლებიც პირველ რიგში უნდა განვითარდნენ. ეს მომენტები უნდა გავითვალისწინოთ ბიუჯეტის შედგენისას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე მუშაობის დროს. სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს კერძო მეწარმეს, თუ ის ეკონომიკის რომელიმე პრიორიტეტულ დარგს აირჩევს თავისი საქმიანობის სფეროდ.

— დღეს კი ასე როდია, ბატონო ნიკო. „ბიზნესმენი“ ლამის სალანძღავ სიტყვად იქცა. არავინ არაფერს არ აწარმოებს, ყველა საშუამავლო, სუფთა კომერციული საქმიანობითაა დაკავებული, რატომ ხდება ასე?

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩვენი საგადასახადო სისტემა ისეთია, რომ მეწარმე არ არის დაინტერესებული პროდუქციის წარმოებით, რადგან საშუამავლო ოპერაციებს მისთვის უფრო დიდი მოგება მოაქვს. დამატებული ღირებულება მძიმე გადასახადით იბეგრება. ნურავის ჰგონია, რომ სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი გადასახადის სიდიდის პირდაპირპროპორციულია. დიდი გადასახადების პირობებში ყველა ცდილობს მოგების დამალვას. ბევრი წარმოება ვიცი, ამის გამო დაკეტილია. არც ეს არის საღი ეკონომიკური აზროვნების მაჩვენებელი.

— ბატონო ნიკო, დღეს ბევრს ბჭობენ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორიენტაციებზე. სადავოდ ხდიან ურთიერთობის მოწესრიგების მცდელობას რუსეთთან, ირანთან, აზერბაიჯანთან, სხვა ქვეყნებთან. ეს დებატები ხშირად ამბიციურია, თვითმიზნური და მავნე, ვიდრე დაფიქრებული, აწონ-დაწონილი და სახარგებლო. თქვენ რომელ ორიენტაციას უჭერთ მხარს?

— ვერცერთი ქვეყანა ვერ მოიხარშება თავის ქვაბში, ვერც ერთი მიმართულების ორიენტაციით წახვალთ შორს. დღეს ალბათ არავისთვის არ უნდა იყოს საკამათო, რუსეთზე, როგორც „მამამარჩენალზე“, აქცენტის გაკეთების მავნეობა. ამიტომ ჩვენ უკვე დღეს — ხვალ უნდა შევქმნათ წინაპირობები იმისათვის, რათა, რაც შეიძლება სწრაფად მოვცილდეთ ამ ქვეყნის ეკონომიკური ზეგავლენის სფეროს, ე. წ. „სამანეთო ზონას“. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს მთელი მსოფლიო „აქეთ“ მოისწრაფვის იაფი ნედლეულის გამო, მერეც, ჩვენი პროდუქციის გასაღების ერთადერთი ბაზარი, სწორედ ხსენებული ეკონომიკური სივრცეა. პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობები, რასაკვირველია, ყველა ქვეყანასთან უნდა მოწესრიგდეს. ეს სადავო არ უნდა იყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია „სნგ-ს ქვეყნების დაბალი „ეკონომიკური კლასიც“. ამიტომ სასწრაფოდ უნდა ვეძებოთ ისეთი პარტნიორები, ვისაც ეს კლასი მაღალი აქვს.

უნდა გამოცოცხლდეს ერთობლივი საწარმოების მუშაობა; აქციების გარკვეული ნაწილი უცხოელებს უნდა გადაეცეთ; შეიძლება გაიყიდოს მრეწველობის ზოგიერთი გიგანტიც. სასწრაფოდ მისაღებია კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ. რა სჭირდებათ უცხოელებს? —რა თქმა უნდა, გარანტიები იმისა, რომ ჩვენთან დაბანდებულ კაპიტალს არ დაკარგავენ და, ეჭვგარეშე, მათ უნდა მიიღონ ეს გარანტიები.

— ბატონო ნიკო, თქვენს დიდ კომისიაში ტრანსპორტიც შემოდის. მისი მუშაობა კი, მოგეხსენებათ, ჩაფლავებულია. როგორც ირკვევა, ამის მიზეზი მარტო უსაწვავობა არ არის: გაყიდულია ავტოსატრანსპორტო საშუალებები, განიავებულია, გაძარცულია საწარმოები, სხვა სახელმწიფო ქონება.

— გაიძარცვა? — პატრონი გავუჩინოთ. გადავახდევინოთ საფასური და გადავცეთ კერძო საკუთრებაში. ხომ ხედავთ, ვერ ვაჩერებთ ამ პროცესს. გავუჩინოთ პატრონი ჩარხებს, ავტობუსებს, ავტოსატრანსპორტო საწარმოებს და ერთ საბურავსაც ვერ გაიტანს ვინმე.

— გაუფასურებულ რუსულ მანეთზე როგორ გავყიდოთ ამოდენა სიმდიდრეები: ქართულ ფულს ხომ არ დაველოდოთ, ბატონო ნიკო?

— ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გაგვიანდება, დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. ჩიხში, იზოლაციაში აღმოვჩნდებით.

— როგორია თქვენი პროგნოზი? რა ეშველება ჩვენს ეკონომიკას?

— ვფიქრობ, წლეულს დაიწყება სტაბილიზაცია, წლის ბოლომდე შეჩერდება „ვარდნა“. 1989 წლის დონეს რომ მივაღწიოთ, სულ მცირე 2-3 წელი მაინც დაგვჭირდება. წარმოიდგინეთ, რამხელა რეგიონებია ამოვარდნილი საქართველოს ეკონომიკური სისტემიდან. მთავარია, დამთავრდეს ეს ომი, დამყარდეს სამოქალაქო მშვიდობა, შრომისა და სიყვარულისათვის განეწყოს ქართველი კაცი, სხვა პრობლემები, ვფიქრობ, წარმავალია და შეიძლება მათი გადაწყვეტა.

ზაურ მაკარაძე

აქტუალური ინტერვიუ

ავთანდილ სილაგაძე:

ომიც უნდა მოვიგოთ და პრივატიზაციაც დავაჩქაროთ

ორი აზრი არ არსებობს, თუ გვინდა, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა დამკვიდრდეს, პრივატიზაცია უნდა დაჩქარდეს. ამას კარგახანია ვლაპარაკობთ, თეორიები და თვალსაზრისებიც არ გვაკლია, მაგრამ საქმე, რომელმაც ეკონომიკის ბედი უნდა გადაწყვიტოს, ვერა და ვერ დავძარით. ხალხში დაბუდებული ეს აზრი, არც დამიმალავს, როცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს ავთანდილ სილაგაძეს სასაუბროდ შევხვდი. საუბარი კი ასე დაიწყო:

— ბატონო ავთანდილ, არც თუ დიდი ხნის წინათ, თქვენი უწყება სახელმწიფო კომიტეტად იწოდებოდა, ახლა სამინისტრო დაერქვა. ვითომ საქმისთვის ასე უკეთესია?

— კომიტეტის სამინისტროდ გარდაქმნა თვით საქმის ინტერესებმა განაპირობა. სამინისტრო უფრო მაღალი რანგია და ბუნებრივია, მეტ პასუხისმგებლობასა და ფუნქციონალურ დატვირთვასაც მოიცავს. საგულისხმოა, რომ ბევრ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ეს სამსახური უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის დაქვემდებარებაშია. სახელმწიფო ქონების გონივრული მართვა ამის უფლებას უთუოდ იმსახურებს.

— აქ ბუნებრივი იქნებოდა გვესაუბრა ახლად შექმნილი სამინისტროს ფუნქციებზე, მაგრამ ალბათ უპრიანია პირდაპირ გადავიდეთ პრივატიზაციაზე, რომლის დაყოვნება ასე აღელვებს ჩვენს საზოგადოებრიობას. მაინც რამ შეაფერხა ეს პროცესი, ხომ არ გვეტყოდით?

— მე პირადად სულ რამდენიმე თვეა, რაც ამ სამინისტროში მოვედი, მაგრამ ეს არ მაძლევს უფლებას, არ ვაღიარო, რომ პრივატიზაცია მართლაც დაგვიანდა. ამაში, რა თქმა უნდა, „წვლილი“ მიუძღვით როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეზებს. ძნელია, ვილაპარაკოთ პრივატიზაციის წარმატებით განხორციელებაზე ისეთ ქვეყანაში, რომელიც ომს, პოლიტიკურ დესტაბილიზაციასა და ეკონომიკურ ქაოსს მოუცავს. ასეთ დროს, საერთოდ პრივატიზაციას გვერდზე გადასდებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენ ამის უფლება არა გვაქვს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ, რომ ომიც მოვიგოთ და პრივატიზაციაც დავაჩქაროთ.

— გეთანხმებით, მაგრამ ხელს ხომ არ გვიშლის ის გარემოება, რომ კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდშია მიღებული, რუსულიდან არის თარგმნილი და მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნია?

— ვიცი, საზოგადოებაში ასეთი აზრი მართლაც არსებობს, მაგრამ მე მას მთლად ვერ დავეთანხმები, რამდენადაც მასში ჩამოყალიბებულია პრივატიზაციის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები, ფორმები, და მეთოდები, რომლებიც ყველა ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს.

რა დასამალია, ბევრი ჩვენი კანონი ემთხვევა რუსეთის ფედერაციის კანონებს, მაგრამ თუ ისინი ჩვენ ხელს გვაძლევს და გამოგვადგება, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ? ასეა პრივატიზაციის კანონიც, თუმცა, მასში არის ისეთი ფორმები და ნიუანსები, რომლებიც სპეციფიკურია მხოლოდ საქართველოსთვის. ზოგიერთი მათგანიც დასახვეწია. მაგალითად, ჩვენთან დაშვებულია საწარმოთა აუქციონით და კონკურსით გაყიდვა, აგრეთვე, მათი გარდაქმნა სააქციო საზოგადოებებად, რაც სულაც არ ემსგავსება პრივატიზაციის რუსულ ფორმებს.

— ეს გასაგებია. და მაინც, ალბათ, უმჯობესია დავუბრუნდეთ კონკრეტულ საქმეს. როგორც პრესაში ამასწინანდელ გამოსვლაში რესპუბლიკის მრეწველთა კავშირის პრეზიდენტმა ბესო ჯუღელმა აღნიშნა: „შარშან, რუსეთში პრივატიზაცია მოასწრო 46 ათასმა საწარმომ, ჩვენთან კი პრაქტიკულად ეს პროცესი ჯერაც არ დაწყებულა. პრივატიზაცია, რომელსაც ასე ველოდით, სანატრელი გაგვიხდა. რატომ, ვერ გავიგე“.



— ბატონი ბესოს კრიტიკა გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პრივატიზაცია რესპუბლიკაში უკვე დაწყებულია. 4 მარტს თბილისში, გაიმართა პირველი აუქციონი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ადრე მაღაზია „გოლიათის“ გაყიდვას), გაიყიდა სატრანსპორტო საშუალებები. შემდეგ ამ პროცესმა გადაინაცვლა ახმეტაში, სადაც აუქციონით გაიყიდა ავტოგასამართი სადგური. ამჟამად ასეთი სადგურების პრივატიზება მთელ რესპუბლიკაში მიმდინარეობს. რაც შეეხება იმ საწარმოს, რომელსაც ბ-ნი ბესო ხელმძღვანელობს, სამინისტრომ დროულად შეიტანა საპრივატიზებო სიაში.

— მახსოვს, თავიდან ეჭვს გამოთქვამდნენ, ავტოგასამართი სადგურების აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ სამინისტროს ბრძანება არ შესრულდებაო; განსაკუთრებით რეგიონებში, რადგან ობიექტების ძველი მფლობელები აუქციონზე მათ გატანას ფაქტობრივად არ დაუშვებენო.

— თქვენ წარმოიდგინეთ, თავიდან მართლაც ბევრმა რაიონმა არ მოგვცა დასტური იმისა, რომ ავტოგასამართი სადგურები აუქციონით გაყიდულიყო. შევატყვეთ, რომ საქმე ფერხდებოდა და ბრძანებით ნება დავრთეთ თვითონ შეერჩიათ გაყიდვის ფორმა. და იცით რა მოხდა? ბევრგან ისევ აუქციონის წესით პრივატიზება ამჯობინეს. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ზოგმა კონკურსის წესიც გამოიყენოს.

— და მაინც, ბატონო ავთანდილ, ეს ალბათ, წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც პრივატიზაციის ხაზით ახლო მომავალში უნდა გაკეთდეს?

— სრული ჭეშმარიტებაა, მალე მთელ საქართველოში დაიწყება პრივატიზაციის ერთ-ერთი პროცესი, რომელიც მოიცავს სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების ობიექტებს, დაუმთავრებელ მშენებლობებს, მცირე ჰესებს და სხვა სახის საწარმოებს. ასეთი დაახლოებით 800 ობიექტია, რომელთა სია მთავრობას უკვე დამტკიცებული აქვს.

— მაინც რამდენ ხანში მოხდება მათი პრივატიზება?

— უახლოესი 3-4 თვის განმავლობაში. ამასთან, სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განხილულია 2 ათასამდე საპრივატიზებო ობიექტი. სათანადო ინსტანციის გავლის შემდეგ ამ ობიექტებში დაიწყება საპრივატიზაციო კომისიების მუშაობა იმ ანგარიშით, რომ იქ წლის მეორე ნახევარში პრივატიზება დასრულდეს.

— ხომ არ გვეტყოდით, რა ობიექტებია ისინი?

— ესენია, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობის, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ობიექტები. აპრილის თვეში ნავარაუდევია, რომ მთავრობა განიხილავს ამ ობიექტების ნუსხას.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, საკითხავია, როგორი პრინციპით განაწილდება პრივატიზებული საწარმოების ქონება?

— პრინციპი, ვფიქრობ, ასეთი იქნება: საწარმოთა აქციონირების დროს ქონების ერთი ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩება, მეორე ნაწილი უფასოდ მიეცემა წარმოებაში დასაქმებულებს, ხოლო მესამე (აქციების განსაზღვრული რაოდენობა) გაიყიდება ღია ბაზარზე.

— მაგრამ როგორღა იქნება პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობის სხვადასხვა ფენების თანაბარი სტარტის საქმე? ჩვენც ხომ არ გამოვიყენებთ ეგრეთწოდებულ რუსულ ვაუჩერიზაციის ვარიანტს?

— ალბათ, ნაწილობრივ გამოვიყენებთ. ვვარაუდობთ, რომ წლის მეორე ნახევარში, რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეზე გაიცემა ნომინალური ღირებულების საპრივატიზებო ბარათები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, აქტიურად ჩაერთონ პრივატიზაციის პროცესში და გახდნენ გარკვეული ქონების მესაკუთრენი. ასე რომ, ახლო მომავალში ჩვენი დატვირთვა კულმინაციას მიაღწევს — უაღრესად დიდი „ფრონტი“ იქნება პრივატიზაციას.

— ვაუჩერიზაცია, რა თქმა უნდა, თანაბარი სტარტისთვის ერთგვარ პირობებს შექმნის, მაგრამ „მთასა და ბარს“ მაინც ვერ გაასწორებს. მას, ვისაც უკვე მილიონობით ქონება აქვს დაგროვილი და მას, ვინც შიმშილის ზღვარზე დგას, გჯერათ, რომ ვაუჩერი გაათანაბრებს?

— პრივატიზაციას ამის პრეტენზია არც გააჩნია. თუ ჩვენ იგი წარმოვიდგინეთ ისეთ პროცესად, რომელიც მოსახლეობის შემოსავლებს გაათანაბრებს, მართალი არ ვიქნებით. პრივატიზების ერთ-ერთი მთავარი მისია ის გახლავთ, ქონება გაუჩინოს მეპატრონეს, რომელიც, თუ მას გონივრულად გამოიყენებს, წარმოებას რენტაბელურად წარმართავს, გაცილებით მეტ შემოსავალს მიიღებს, თვითონაც გამდიდრდება და სახელმწიფოსაც მეტ შემოსავალს მისცემს. პრივატიზებამ მესაკუთრის ხელით წარმოება წელში უნდა გამართოს.

— ბატონო ავთანდილ, თქვენ აღნიშნეთ, რომ პრივატიზაცია გარკვეულ პრივილეგიას აძლევს საწარმოებში დასაქმებულებს. ეს კარგია, მაგრამ რა ქნან, ვთქვათ, ჟურნალისტებმა, პედაგოგებმა, მეცნიერებმა, რომლებიც წარმოებისგან შორს დგანან?

— ეს ფაქტია, მაგრამ საკითხს ცოტა სხვაგვარადაც შევხედოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქარხანასა თუ ფაბრიკაში დასაქმებული მესაკუთრე, რომელსაც პრივილეგია მიეცა, დაინტერესებულია თავისი საწარმოს ალორძინებით, მაქსიმალური მოგებით. ეს, ბუნებრივია, გამოათავისუფლებს ერთი მხრივ, ბიუჯეტის ხარჯს, რომელიც სახელმწიფოს უნდა გაეღო ამ საწარმოს განვითარებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მოგება, რომელსაც მესაკუთრე იღებს, თავისთავად გაზრდის ბიუჯეტის შემოსავალს. ბიუჯეტის თანხები კი, კარგად მოგეხსენებათ, პირველ რიგში, ხმარდება საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანების (მათ შორის ჟურნალისტის, პედაგოგის, მეცნიერის), საერთოდ, მთელი ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობას.

— აქვე, არ შემიძლია არ გკითხოთ, საზოგადოებაში გავრცელებული ორი თვალსაზრისის შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ საპრივატიზებო ქონების მხოლოდ ნაწილი უნდა გადაეცეს მოსახლეობას უფასოდ, ხოლო მეორენი მთელი ქონების ხალხისთვის გადაცემას მოითხოვენ. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?

— მიმაჩნია, რომ ორივე აზრს აქვს არსებობის უფლება. პირადად მე, როგორც უწყების მეთაური, მუშაობაში ვხელმძღვანელობ პრივატიზების შესახებ კანონით და მთელი რიგი სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, რომლებიც ამ პროცესს გარკვეულად არეგულირებენ. სამინისტროში უკვე განვიხილეთ მასალები ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, როგორიცაა საკითხი საწარმოთა აქციონირების, საპრივატიზებო ბარათების, საინვესტიციო ფონდების და სხვათა შესახებ, რომელთა გამო, უახლოეს მომავალში იმსჯელებს მინისტრთა კაბინეტიც. სადავო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პრივატიზების ხერხემალი საწარმოთა აქციონირებაა. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ, პრივატიზების სახელმწიფო პროგრამიდან გამომდინარე, სავალდებულო აქციონირებას დაექვემდებარება რესპუბლიკის მსხვილი საწარმოები, განისაზღვრება მათი აქციონირების ვადებიც.

— ზოგს მიაჩნია, რომ ბევრი საწარმო თუ მაღაზია, უკვე ფარულად პრივატიზებულია. თქვენ როგორ კომენტარს გაუკეთებდით?

— ხშირად აქ მხედველობაში აქვთ ის ობიექტები, რომლებიც იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) არის გაცემული კოლექტივებსა თუ პიროვნებებზე. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საკავშირო კანონები, იჯარის შესახებ არ გაუქმებულა, ის მხოლოდ შეიზღუდა. ახლო მომავალში, განისაზღვრება, მიეცეთ თუ არა ასეთ პირებს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. თუ ეს დაკანონდა, მაშინ ასეთი ქონება ოფიციალურად პრივატიზებულად ჩაითვლება.

რაც შეეხება უკანონო, ანუ მართლაც ფარულ პრივატიზებას, ამ საკითხს სწავლობს რესპუბლიკის პროკურატურა და შედეგები ეცნობება საზოგადოებრიობას. ეჭვი არ არის, დამნაშავენი პასუხს აგებენ.

— ბატონო ავთანდილ, ბევრი კოოპერატიული ბინის მფლობელს აინტერესებს, შეუძლია თუ არა მოახდინოს ბინის პრივატიზება, თუ მას თანხის გარკვეული ნაწილი უკვე გადახდილი აქვს?

— მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მათი დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუმცა, მიმაჩნია, რომ მათი თხოვნა უსაფუძვლო არ არის და კანონმა ამ საკითხზე თავისი სიტყვა უნდა თქვას.

— მაქვს ასეთი შეკითხვაც: რესპუბლიკის ქონების რამდენი პროცენტი გაიცემა საპრივატიზაციოდ და რამდენი პროცენტი დარჩება სახელმწიფო საკუთრებად?

— ციფრების დასახელება არ შემიძლია. არა იმიტომ, რომ არ დავინტერესებულვარ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი ფონდების ღირებულება გახლავთ უცნობი — ღრმად ინვენტარიზაცია, სამწუხაროდ, არ დამთავრებულა. თუმცა, ერთი რამ გარკვეულია. თავდაპირველ ეტაპზე ამ ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს დარჩება, როგორ მოხდება მათი თანდათანობით შემცირება, ამას თვით ცხოვრება გვიკარნახებს.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

— გაზეთები დიდი დაგვიანებით მოდის, ხან კი სულ იკარგება. „საქართველოს რესპუბლიკა“ წელს ვერ გამოვიწერე, საგაზეთო ჯიხურებში მისი შეძენა ჭირს. იქ აუარებელი სხვადასხვა დასახელების გაზეთი აწყვია. თქვენს გაზეთს კი ვერ იშოვის კაცი. რატომ? როგორია გაზეთების ტირაჟი?

მანანა ტატიშვილი, ექიმი.

პრესის გავრცელების რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება — „საქპრესის“ უფროსის მოადგილემ მერი ნადარეიშვილმა გვაცნობა: რესპუბლიკაში ამჟამად ყველაზე მეტი ხელმომწერი „საქართველოს რესპუბლიკას“ ჰყავს და მისი პოპულარობა სულ უფრო იზრდება. **იანვარში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოწერილი ჰქონდა 72.415 კაცს, აქედან — 16.587 თბილისელს; თებერვალში — 78.715, აქედან — 17.726 დედაქალაქის მცხოვრებია, მარტში — 88.479 ხელმომწერია, მათ შორის 18.888 თბილისელი.**

საცალო ვაჭრობაში იანვარში გასაყიდად გატანილი იყო 22.176 ეგზემპლარი, თებერვალში — 22.719, მარტში — 22.206.

საერთო ტირაჟი „საქართველოს რესპუბლიკისა“ იანვარში იყო 94.800 ცალი, თებერვალში — 100.400, მარტში — 105.000.

გასულ ზამთარში ტრანსპორტობის გამო ბევრგან ჭირდა გაზეთის დროული მიტანა, რაც მკითხველთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ თბილისის პირობებში, თანაც გაზაფხულზე, ეს გამორიცხული უნდა იყოს.

სხვა გაზეთების ტირაჟია: „იბერია-სპექტრი“ — 41.000 (ხელმოწერა — 3.724); „ქალთა გაზეთი“ — 29.000 (ხელმოწერა — 4.035); „თბილისი“ — 25.000 (11.837); „დვრიტა“ — 23.000 (2.316); „ეთერშია საქართველო“ — 21.000 (925); „სიმართლე“ — 20.000 (1.593); „დრონი“ — 20.000 (4.647); „ნატვრისთვალი“ — 20.000 (1.295), „საქართველო“ — 20.000 (ხელმოწერა არ ჩატარებულა). „ლიტერატურული საქართველო“ — 14.000 (5.390); „სვობოდნაია გრუზია“ — 13.000, „ივერია-ექსპრესი“ — 12.000, „სიტყვა ქართული“ — 5.000, „ეკრანის ამბები“ — 3000. „ქარვასლა“ — 1.000 და ა. შ.

საქართველოში გამომავალი გაზეთების საერთო ტირაჟია:

რესპუბლიკური გაზეთებისა — 188 777;

საქალაქო გაზეთებისა — 31.435

საოლქო გაზეთებისა — 2.346;

რაიონული გაზეთებისა — 45.786;

სულ — 268.344 ეგზემპლარი.

ყველა თბილისელისადმი

საზოგადოება „თბილისელი“ აცხადებს ერთთვიურს სოხუმელთა დასახმარებლად.

მივმართავთ მოქალაქეებს და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს: შეიტანეთ თქვენი წვლილი „თბილისელის“ გამგეობაში მისამართით: რუსთაველის გამზირი 48 (ტელ.: 99-64-11), საიდანაც გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

არც ერთი თბილისელი არ შეიძლება გულგრილი დარჩეს სამშობლოს უაღრესი გაჭირვების დროს.

საზოგადოება „თბილისელის“ გამგეობა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საქართველოც მონაწილეობს

ბრიუსელში, ნატოს შტაბბინაში, ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. ბრიუსელში ჩავიდნენ საბჭოს წევრი, აგრეთვე თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, მათ შორის რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი. საბჭო 1991 წლის დამლევს შეიქმნა და მიზნად ისახავს პარტნიორული ურთიერთობის, დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ორ მტრულ ბანაკს ეკუთვნოდნენ. რადიოსადგურ „თავისუფლების“ ცნობით, კონფერენციაზე (თავდაცვის მინისტრების დონეზე) განიხილავენ ნატოს ახალ როლს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, კერძოდ, მდგომარეობას ყოფილ იუგოსლავიაში. ვფიქრობთ, მინისტრები გვერდს ვერ აუვლიან სხვა „ცხელ წერტილებში“ შექმნილ საშიშ ვითარებას, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას სტაბილურობას მსოფლიოში.

ევროპის უშიშროების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი

რუსეთში მოვლენათა განვითარება ევროპის კონტინენტის უშიშროების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. ეს აზრი გამოთქვა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, ამერიკელმა გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა. „უდავოდ, ბოსნია, და ერაყი ძალზე მნიშვნელოვანია, — აღნიშნა მან გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, — მაგრამ ატლანტიკური ალიანსის უშიშროების განსაზღვრის გასაღები უნდა ვეძებოთ მოსკოვში მიმდინარე ამბებში“.

ჯ. შალიკაშვილმა საერთოდ მხარი დაუჭირა ვაშინგტონის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მნიშვნელოვნად შეამციროს მომავალ წლებში ამერიკის სამხედრო კონტინგენტის რიცხვი ევროპაში და გამოთქვა წუხილი ამ პროცესის ძლიერ სწრაფი ტემპის გამო, რაც, მისი თქმით, უდიდეს დაძაბულობას ქმნის ჯარებში. 1990 წელს ევროპაში იყო 324 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. 1996 წელს იქ დარჩება 100 ათასი. „ჩვენ ვერ დავაჩქარებთ ამ პროცესს, — თქვა გენერალმა. — ალბათ, უნდა შევანელოთ იგი“.

ჯ. შალიკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი შეშფოთებით ეკიდება ბოსნია-ჰერცეგოვინაში მშვიდობის დაცვის მისიაში ნატოს ჯარების მასშტაბური მონაწილეობის შესაძლებლობას, მაგრამ ამასთანავე, გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკის კარგად მომზადებული ჯარები თავს გაართმევენ მათ წინაშე დასახულ ყოველგვარ ამოცანას. მან აგრეთვე, აღნიშნა, თუ რაოდენ „საჭიროა ბოსნიის შესახებ რომელიმე სამშვიდობო გეგმის რეალიზაციაში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა“. **„პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსებთან ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება, — თქვა ამერიკელმა გენერალმა. — სამხედრო თვალსაზრისით, იგი გარკვეულწილად ჩვენი გამოწვევაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა ერთად ვიმუშავებთ, შევძლებთ დავძლიოთ ენობრივი ბარიერითა და საბრძოლო მომზადების სხვადასხვა სისტემით გამოწვეული სიძნელეები“.**

ფრანგი სოციალისტების უპრეცედენტო მარცხი

სოციალისტთა გამანადგურებელ მარცხს და მემარჯვენე-ცენტრისტული ოპოზიციური ბლოკის „საფრანგეთისათვის კავშირის“ დიდ უპირატესობას ადასტურებს კვირას აქ გამოქვეყნებული საპარლამენტო არჩევნების მეორე, დასკვნითი ტურის არასრული ოფიციალური შედეგები.

არჩევნებში მარცხი იწვნია სოციალისტთა ბევრმა ლიდერმა. მათ შორის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მიშელ როკარმა და ლიონელ ჟოსპენმა. სულ ცოტა 15 სოციალისტმა მინისტრმა, მათ შორის როლან დიუმამ, მიშელ დელბარმა, მიშელ ვოზელმა, ლუი მერმაზმა, დომინიკ სტროს-კანმა, ფრედერიკ ბრედენმა, ფრანსუა ლონკლმა ვერ მოიპოვეს დეპუტატის სავარძელი ბურბონთა სასახლეში.

ამიერიდან სოციალისტებს პარლამენტში სულ დაახლოებით 70 ადგილი ექნებათ წინანდელი 267 ადგილის ნაცვლად.

დაახლოებით 480 სადეპუტატო მანდატით, 577 ადგილიან ეროვნულ კრებაში, „საფრანგეთისათვის კავშირი“ ნეოგოლისტური გაერთიანების შემადგენლობაში რესპუბლიკისა და ფრანგული დემოკრატიისათვის ცენტრისტული კავშირის მხარდაჭერით ამრიგად მმართველი ბლოკი ხდება. ტრადიციისამებრ, პრემიერ-მინისტრის პოსტს შესთავაზებენ პარტიას, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა მანდატების რიცხვით პარლამენტის ქვედა პალატაში.

კომუნისტებმა შეინარჩუნეს საკუთარი ჯგუფი ეროვნულ კრებაში. მათ უკვე მოიპოვეს ამისათვის საჭირო 20 მანდატი.

ვერც ერთი დეპუტატი ვერ გაიყვანა ეროვნულ კრებაში ეკოლოგისტთა ბლოკმა („მწვანეთა“ პარტიამ და „ეკოლოგიის თაობის“ პარტიამ) და ულტრამემარჯვენე „ეროვნულმა ფრონტმა“, რომლის ლიდერი ჟან მარი ლე პენი ნიცაში დამარცხდა.

ირანში ოფიციალურ ვიზიტად

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრია კოზირევი ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. თეირანში იგი მოლაპარაკებას გამართავს რუსეთისა და ირანის მრავალმხრივი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კასპიის ზღვის სიმდიდრეთა გამოყენებასთან, დაცვასთან და გამრავლებასთან დაკავშირებულ საკითხებში თანამშრომლობის პერსპექტივათა განხილვას. ვიზიტის დროს ვარაუდობენ, ხელი მოაწერონ შეთანხმებას ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის კონსულტაციების შესახებ, აგრეთვე ხელმოსაწერად მოამზადონ ირანისა და რუსეთის ურთიერთობის პრინციპების დოკუმენტი.

ვიცე-პრეზიდენტის აზრით

„რუსეთში ახლანდელი კრიზისის გადაწყვეტის გზები თავად რუსეთში უნდა იპოვონ. მათ სტაბილური უნდა გახადონ მანეთი და კონტროლს დაუქვემდებარონ ინფლაცია. და თუმცა დასავლეთს შეუძლია ამაში დაეხმაროს, მაგრამ გადაწყვეტილებანი ამის თაობაზე სწორედ რუსეთმა უნდა მიიღოს. ეს უბრალოდ ფულის საკითხი კი არა, პრეზიდენტ ელცინისა და მის მრჩეველთა იმ დიალოგის მონაწილეების საკითხია, რომელიც შესაძლებლობას მისცემთ შეარჩიონ საუკეთესო გზები, რათა დაეხმარონ მათ თვითონ გაერკვენენ თავიანთ პრობლემებში და განაგრძონ ახლანდელი წინსვლა დემოკრატიისაკენ“, — განაცხადა კვირას ეი-ბი-სი პროგრამისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა. შეეხო რა რუსეთისათვის დამატებითი დახმარების გაწევის წინადადებაზე კონგრესის შესაძლო რეაქციას, ვიცე-პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილებანი მიღებულია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა აზრის გათვალისწინებით და არავითარ ზიანს არ აყენებენ ამერიკის შეერთებული შტატების სხვა საერთაშორისო პროგრამებს.

„ამჟამად ელცინი ჩვენი მთავარი იმედია“

„შეერთებული შტატების ხანგრძლივ ინტერესებს შეესაბამება დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმების განვითარება რუსეთში“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა უორენ კრისტოფერმა სი-ბი-ეს ტელეკომპანიისათვის მიცემულ საკვირაო ინტერვიუში. უარი თქვა რა „მოსკოვში შექმნილი ახლანდელი უაღრესად მერყევი და ცვალებადი სიტუაციის შედეგების წინასწარმეტყველებაზე“, ამერიკის საგარეოპოლიტიკური უწყების მეთაურმა მიუხედავად ამისა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვაშინგტონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მხარი დაუჭიროს ბ. ელცინს. იგი რუსეთის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტია, და მასთან თანამშრომლობით უნდა შევეცადოთ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ხელი შევუწყოთ ამ ქვეყნის წინსვლას დემოკრატიისა და საბაზრო რეფორმებისაკენ, — თქვა სახელმწიფო მდივანმა. — ...ამჟამად ელცინი ჩვენი მთავარი იმედია, და ვფიქრობ, შეერთებული შტატების პოლიტიკა არ უნდა მერყეობდეს მოსკოვში დროდადრო მომხდარი მოვლენების კვალობაზე“. ამავე დროს სახალხო დეპუტატთა ყრილობა, უ. კრისტოფერის აზრით, „არ არის დემოკრატიული ინსტიტუტი, რადგან იგი არ შექმნილა დემოკრატიული არჩევნების გზით.

იმედი სულ უფრო ქარწყლდება

სულ უფრო ქარწყლდება იმის იმედი, რომ ეროვნული დაზავება მოხდება ანგოლაში და მოწესრიგდება შეიარაღებული კონფლიქტი მშვიდობიანი გზით. რესპუბლიკის მთავრობამ უარყო უნიტას ოპოზიციური ორგანოს მიერ წარმოდგენილი კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის გეგმა. როგორც აქ აღინიშნა, უნიტას წინადადებანი ეწინააღმდეგება 1991 წლის მაისში ლისაბონში ხელმოწერილ სამშვიდობო შეთანხმებებს. „მშვიდობიანი გეგმა“ უნიტამ გამოაქვეყნა გასულ ხუთშაბათს აბიჯანში დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან მისი დელეგაციის მოლაპარაკების დროს. ანგოლის ხელმძღვანელობისათვის მიუღებელია მისი საკვანძო დებულება ანგოლაში გარდამავალი მთავრობის შექმნა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების დეცენტრალიზაცია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დავუბრუნოთ მხატვარს ჭერი

ჩვენს ხელთ არის ცნობილი ქართველი მხატვრის დიმიტრი ზარაფიშვილის გულისტკივილით აღსავსე ბარათი, ბარათი ხელოვანისა, რომელიც ამჟამად თავის ფერწერულ ტილოებთან ერთად ღია ცის ქვეშ ათენ-აღამებს.

თუმცა, უმჯობესია ყველაფერი თავიდან მოგითხროთ...

დიმიტრი ზარაფიშვილი, მხატვართა კავშირის წევრი, 1975 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო გამზრდელმა მამიდამ ანა ზარაფიშვილმა, II ჯგუფის ინვალიდმა, ქალმა შეიფარა 14 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე უსათავსო ოთახში თერგის ქ. № 6-ში. ჩვიდმეტ წელიწადს ცხოვრობდნენ ერთ ჭერქვეშ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ და უზიარებდნენ დარდსა თუ სიხარულს. დიმიტრი ზარაფიშვილი სითბოსა და ყურადღებას არ იშურებდა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცისათვის. შეძლებისდაგვარად საკუთარი ხელით კეთილმოაწყო კიდეც ეს პატარა ბინა და განაგრძობდა თავის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ასე გრძელდებოდა 1991 წლის 19 ოქტომბრამდე. სწორედ ამ დღეს გარდაიცვალა ანა ზარაფიშვილი და აქედან დაიწყო მხატვრის ტრაგედიაც. მამიდის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებასთან ერთად დიმიტრი ზარაფიშვილს ახალი სადარდებელი დაატყდა თავს: მიცვალებულის ქრისტიანული წესით დაკრძალვაც კი არ აცადეს და კარის მეზობელმა ტატიანა ვასილევამ საჩივარი შეიტანა მთაწმინდის რაიონის სახალხო სასამართლოში მოსამართლე დადიანის სახელზე, მხატვარს „ვიღაც ვიგინდარა“ უწოდა და განაცხადა, რომ იგი უკანონოდ იყო შეჭრილი მამიდის ბინაში. „რას წარმოვიდგენდი, კარის მეზობელი ასეთ საქციელს თუ იკადრებდა, მას თურმე დიდი ხანია განზრახული ჰქონდა ჩემი თავიდან მოშორება და ახლა თავისი მზაკვრული ჩანაფიქრი განახორციელა“, — წერს თავის წერილში დიმიტრი ზარაფიშვილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა და... 1992 წლის 3 ივლისს მხატვარი ბინიდან გამოასახლეს, მისი ფერწერული ტილოები, წიგნები და სხვა ნივთები ეზოში გამოყარეს, სახლი კი დალუქეს. ამით ისარგებლა კარის მეზობელმა და ერთ ღამეს თავისი ოთახიდან ანა ზარაფიშვილის ბინაში გამავალი კედელი გაანგრია.

საოცარია, ტატიანა ვასილევასთვის, რომელსაც სამოთახიანი ბინა აქვს, ამ უკანონო საქციელის გამო პასუხი არავის მოუთხოვია, ხოლო უმწეოდ, უსახლკაროდ დარჩენილ, დასნეულებულ ადამიანს და, მითუმეტეს, შემოქმედს, მამიდის სახლში ცხოვრებისა და იქ სახელოსნოს მოწყობის უფლებას არ აძლევენ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დიმიტრი ზარაფიშვილი ამ ბინაში ჩაწერილი არ არის.

მხატვრის გასაჭირი გულთან ახლოს მიიტანეს ქართული ხელოვნების მესვეურებმა. 1 ივლისს თბილისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ მხატვართა კავშირის საშუამდგომლო წერილი მიიღო: „საქართველოს რესპუბლიკის მხატვართა კავშირი შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა დააკმაყოფილოთ, კავშირის წევრის, II ჯგუფის ინვალიდის, მხატვარ-გრაფიკოსის დიმიტრი ზარაფიშვილის თხოვნა და, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ნება დართოთ მას იმუშაოს აწ გარდაცვლილი მამიდის ყოფილ ბინაში.

დიმიტრი ზარაფიშვილი ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრია. იგი ეწევა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საზღვარგარეთის სამხატვრო გამოფენებზე. მის მიერ დასურათებულია არაერთი ათეულ ქართველ და მოძმე ქვეყნების მწერალთა ნაწარმოებები. მხატვრის ნამუშევრები იპყრობენ მნახველთა ყურადღებას და აღინიშნებიან რესპუბლიკურ პრესაში.

ამ მცირე ფართობის შენარჩუნება ხელს შეუწყობს მხატვარს ნორმალურად გადაწყვიტოს თავისი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები“.

იმავე დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ ასეთი შინაარსის წერილით მიმართა სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს დავით კალმახელიძეს: „გაუწყებთ, რომ ცნობილი ქართველი მხატვარი დიმიტრი იოსების ძე ზარაფიშვილი დიდი ხანია ემსახურება ქართული წიგნის გამოცემის საქმეს, როგორც მხატვარ-გრაფიკოსს, განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი საბავშვო ლიტერატურის მაღალმხატვრულ გაფორმებაში, რის გამოც თავს უფლებას ვაძლევთ, მოგმართოთ შუამდგომლობით, რათა საბინაო პრობლემასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა მის სასარგებლოდ მოგვარდეს“.

და კიდევ ერთი ბარათი სახალხო სასამართლოს სახელზე: „ცნობილი ქართველი მხატვარი-ფერმწერი და გრაფიკოსი დიმიტრი იოსების ძე ზარაფიშვილი კარგა ხანი არის მძიმე მდგომარეობაში. ოჯახური უთანხმოების შედეგად იძულებული გახდა ეცხოვრა ავადმყოფ მამიდასთან 14 კვ. მ. ოთახში. სულიერად დაღლილი და რეპრესირებული თვითონ უვლიდა მოხუც მამიდას, რომლის გარდაცვალების შემდეგ გვერდით მეზობელი, სამი ოთახის პატრონი, ცდილობს წაართვას მას ის პატარა ფართობიც, ურომლისოდაც არათუ შემოქმედებითი მოღვაწეობა, ფიზიკური არსებობაც კი შეუძლებელი გახდება მისთვის.

ჩვენ, ქართველი მწერლები, ვშუამდგომლობთ თბილისის სახალხო სასამართლოსთან, რათა დიმიტრი ზარაფიშვილს აღმოუჩინოთ მაქსიმალური დახმარება“.

წერილს ხელს აწერს ქართველ მწერალთა ჯგუფი.

მაგრამ ბედის ანაბარა მიტოვებული მხატვრის მდგომარეობა ოდნავადაც კი არ შეცვლილა.

დავფიქრდეთ!

საქმე ხომ ამ ცხოვრებაზე გულგატეხილი ადამიანის ბედს ეხება... მაშ, გადავარჩინოთ პიროვნება, შევინარჩუნოთ ხელოვანი!.. ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

იქნებ ახლა მაინც გამოვიჩინოთ გულისხმიერება, ყველაფერზე მაღლა ადამიანის კეთილდღეობა და თუნდაც სიცოცხლე დავაყენოთ; გავიხსენოთ, რომ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. ბოლომდე მაინც ნუ გავწირავთ, ნუ ვკრავთ ხელს გულნატკენ, ცხოვრებისაგან ისედაც გატანჯულ კაცს, დავუბრუნოთ მხატვარს მუშაობის საშუალება და თავშესაფარი.

ეკა ჯიმშელიძე.

სარედაქციო ფოსტიდან

●

საჭიროა თანადგომა

ბოლო დროს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კარგი თაოსნობით, გამოჩნდა კულტურის კერათა პრობლემების ამსახველი წერილები. შედეგმაც არ დააყოვნა და მთავრობამ სათანადო ყურადღებაც გამოიჩინა. სწორედ ამ იმედით გადავწყვიტე საზოგადოებისათვის საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის საგანგაშო გასაჭირის შეხსენება. ამ მუზეუმს მართლაც საოცარი ბედი აქვს, რომელიც 1927 წელს დაარსდა, მაგრამ დიდხანს არ გააჩნდა საკუთარი ადგილსამყოფელი. 1976 წელს კი ცალკე შენობაში გადავედით, გამოფენაც გავხსენით და ჩვეულებრივ შემოქმედებით მუშაობას შევუდექით, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა.

ჯერ იყო და, ერეკლე მეორის მოედანზე დანგრევის პირზე მისული შენობიდან ძლივს გამოვასწარით და კულტურის სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის გულგრილობის გამო წლობით შეხიზნულები აღმოვჩნდით. 4 წლის განმავლობაში სამჯერ მოგვიხდა შენობის გამოცვლა. არადამაკმაყოფილებელი შენახვის პირობების გამო ფონდები საგრძნობლად დაზიანდა. გაქრობა იწყო ფანქრისა და მელნის ხელნაწერებმა, დაიგრიხა ფოტომასალა, საღებავი ჩამოხცილდა სცენოგრაფიულ ტილოებს. სამწუხაროდ, ამ მდგომარეობით არავინ დაინტერესებულა. მხოლოდ მუზეუმის დირექციის ძალისხმევით მოხდა მაშინდელი ხელმძღვანელობის საქმის კურსში ჩაყენება და სათანადო ბრძანებაც სამ დღეში მოვიდა.

შემდგომ არსებობდა პროექტი ამ შენობის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გადასაცემად, რაც ქალაქის საბჭოში დოკუმენტაციის შედგენისას თანხმობა მაშინდელმა მინისტრმაც დაადასტურა. საბედნიეროდ, ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. ამასობაში დაიწყო სარემონტო სამუშაოები, რომლებიც უსახსრობის გამო შეწყდა და დღესაც გამოუვალ მდგომარეობაში ვართ (ხოლო შესრულებული სამუშაოს ხარისხზე ალარაფერს ვამბობ).

ამავე დროს, მუზეუმის შენობის დასათვალიერებლად ხშირად მოდიან სხვადასხვა ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები, რაც თანამშრომლებში დაძაბულობას ქმნის.

საქართველოს მომავლისთვის საელჩოთა გახსნა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ეროვნული კულტურის ერთ-ერთი მძლავრი კერის ხარჯზე. ამასთანავე დამთვალიერებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, თუ როგორ შენობაში ინახება ეს ეროვნული საუნჯე, რაც თვით ხელისუფლების დამოკიდებულებასაც გამოხატავს.

თუკი მართლაც კულტურის გადარჩენა გვინდა, მაშინ სასწრაფოდ უნდა გამოიძებნოს სათანადო სახსრები რემონტის დასამთავრებლად. მოგეხსენებათ საგამოფენო დარბაზისა და ექსპოზიციის გარეშე მუზეუმი თავის დანიშნულებას სრულყოფილად ვერ შეასრულებს.

სულ ახლახან ქალაქის მერიამ, კულტურის სამინისტროს სახელზე კვლავ გამოაგზავნა წერილი, სადაც მხარდაჭერის მიზნით ითხოვს მუზეუმის ადგილსამყოფელის ერთ-ერთი ქვეყნის საელჩოსათვის გადაცემას. ამასთანავე, არავითარი ვალდებულება არ არის გარანტირებული სათანადო შენობის გამოძებნაზე. გასაკვირია, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში კომპეტენტური ბატონი კოტე გაბაშვილი, რატომ უფრო გლობალურად არ აღიქვამს მუზეუმისათვის შექმნილ ვითარებას და განსაწირად რატომ გვიმეტებს. ამ საკითხზე იმიტომაც ვამახვილებ ყურადღებას, რომ კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობაში ახალი თაობა მოვიდა და არსებულ პრობლემებს ერთობლივი ძალისხმევით უნდა მივხედოთ.

ამჯერად მკითხველს თავს არ შევაწყენ იმ საგანძურის ჩამოთვლით, რომელიც ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს, მაგრამ სათანადო ღონისძიებების განხორციელება დროულადაა მიზანშეწონილი...

გუბაზ მებრელიძე,
საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

მოწყალება

რასაცა გასცემ

„თუ რამეს ვწოულობ, უანგაროდ, უშურველად ჩემს ხალხს უნდა გავუყო", ასე წარმოუდგენია მეცენატის როლი საქართველოს მშვიდობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილეს, ფირმა „ბარუკის" პრეზიდენტს თამაზ ძიძიგურს.

თავდაპირველად ყველაფერი სხვანაირად იყო. გაგრაში დაიბადა, გატაცებული იყო სპორტით; მისდევდა კრივს, კარატეს. მეცნიერებაში მოღვაწეობდა. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს სათქმელი და საკეთებელი ცოტა როდი ჰქონდა... მერე გავიდა ხანი, აირია ქვეყანა, დრომ ახალი საქმეები დააკისრა.

გვარდია კარგი სკოლა იყო ჩემთვისო, ამბობს. საბრძოლო

ოპერაციებში მიიღო მონაწილეობა. „ავღანელთა კავშირის" დიდი მეგობარი ამ ბოლო დროს ავღანელთა ბატალიონის „ახალი ნაკადის" მომზადების ერთ-ერთი ხელმძღვანელიც კი იყო.

მაგრამ სამხედროებთან ურთიერთობა ბატონ თამაზის მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი სფეროა. ის ძირითადად კომერციას მისდევს, რომლის საბოლოო მიზანი, რასაკვირველია, ქველმოქმედებაა. აქაც უპირატესად „სამხედროებს", აფხაზეთიდან გამოხიზნულ ლტოლვილებს და, რა თქმა უნდა, ყველა გაჭირვებულს ეხმარება. როგორც მშვიდობის ფონდის წარმომადგენელს, არაიშვიათად მშვიდობის დესპანობასაც აკისრებენ.

მოსკოვში „მშვიდობის ფონდი" აფხაზი და ქართველი საზოგადოებრიობის სამშვიდობო შეხვედრას ამზადებს. ამის თაობაზე უკვე ესაუბრნენ არძინბას პრეს-მდივანს. მოსკოვშივე შედგა წინასწარი მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ მშვიდობის ფონდის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ანატოლი კარპოვი, მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ალექსანდრე კისლოვი და სხვები. ჩამოყალიბდა მუშა-ჯგუფი, რომელიც ამ შეხვედრას მოამზადებს უახლოეს პერიოდში.

ახლა კი დროა, მისი, როგორც მეცენატის, საქველმოქმედო საქმეთა მოკლე ნუსხა მოგაწოდოთ: მცხეთის საკრებულოს გამგეობამ მადლობა გადაუხადა ფირმა „ბარუკის" პრეზიდენტს თამაზ ძიძიგურს და გია მჭედლიშვილს, მცხეთის რაიონში განთავსებული ლტოლვილებისათვის ნახევარი მილიონი მანეთის მატერიალური დახმარებისათვის. სხვა წერილში ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირთან არსებული დირექტორი საზოგადოება „დიტას" ხელმძღვანელობა აღნიშნავს: „თქვენმა ორგანიზაციებმა დიდი დახმარება გაგვიწიეს აფხაზეთში მებრძოლი ავღანური ბატალიონის კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში — უსასყიდლოდ გადმოგვცეს ერთი მილიონი მანეთის სურსათი, ერთჯერადი შპრიცები, ექვსი პორტატიული რადიოგადამცემი, 300 ბამბის წინდა"... „პატარა დახმარება" გაუწიეს ეგრეთვე, მეხუთე სამშობიარო სახლს — უფასოდ გადასცეს იაპონური ერთჯერადი შპრიცები.. მოკრძალებული წვლილი შეიტანეს საქართველოს მწვანეებთან არსებულ აფხაზეთის დახმარების ფონდშიც...

გაგრაში, სამწუხაროდ, მეგობრები და ნათესავები მოუკლეს, ბევრს სახლ-კარი გადაუწვეს, ააწიოკეს, მართალია, გაგრის ტრაგედიის თვითმხილველი არ არის, მაგრამ დარწმუნებით იცის, რომ ნახევარიც არ თქმულა იმ სისასტიკესა და საშინელებაზე, რაც ამ შავიზღვისპირა, პატარა ქალაქში დატრიალდა. გაგრის დაკარგვა სამარცხვინოა ჩვენი ერისთვის, სამარცხვინოა და მორჩაო, ამბობს. ახლაც მიმდინარეობს ამ ქალაქიდან ხალხის გამოყვანა-გახიზვნა, მაგრამ აფხაზები და იქაური სომხები დიდ ბაჟს მოითხოვენ ამისთვის თურმე.

სამსახურებრივი მივლინებით, სტაჟირებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო გაგზავნილი. მართალია, ამის ნამდვილი მიზანი არ გაგვიმხილა, მაგრამ, ერთი კი დასძინა: ის დიდად წაადგება ჩემს საქმიანობასა და გამოცდილებასო...

ასეთია მისი ცხოვრება, თუმცა თავს საზოგადო მოღვაწედ სულაც არ თვლის. მისი აზრით, კეთილი საქმის კეთება ყველა ნორმალური ადამიანის მოვალეობაა.

ვერაფერს იტყვი, კარგი და საჭირო აზრია.

ზაურ არსიანიძე.

ქართული სიტყვა იერუსალიმში

ექვსი დღის განმავლობაში ყოველ საღამოს თბილისის პოეზიის თეატრის მსახიობები იერუსალიმში უჩვენებდნენ სპექტაკლს „რამდენიმე ამბავი „ვეფხისტყაოსნიდან", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

— იერუსალიმის ცნობილ გოდების კედელთან, სადაც მიმსვლელები თავიანთ სურვილს ამჟღავნებენ, — გვითხრა სამხატვრო ხელმძღვანელმა მიხეილ კინწურაშვილმა, — ჩვენ ყველამ ერთხმად შევთხოვეთ უფალს საქართველოს ნათელი მომავალი, მისი სიძლიერე და ჩვენი ერის წინსვლა.

თეატრი თბილისში დაბრუნდა. მალე აქ შეუდგებიან მუშაობას ახალ სპექტაკლზე. ეს არის პაოლო იაშვილის მოთხრობის „ფერადი ბუშტების" მიხედვით შექმნილი კომპოზიცია.

ლვაწლი

სიცოცხლე მუსიკისათვის

ფართოდაა ცნობილი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც იაშვილების „მუსიკალური ოჯახი", რომლის მამამთავარს, საქართველოს სახალხო არტისტს პროფესორ ლუარსაბ იაშვილს ახლახან 85 წელი შეუსრულდა.

ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო ბატონი ლუარსაბის მოღვაწეობა მუსიკალურ სარბიელზე, დღეს კი მას გვერდს უმშვენებენ მისი სამი შესანიშნავი ქალიშვილი — მარინე, ირინე და ნანა, აგრეთვე მათი შვილები. ლუარსაბ იაშვილის მიერ აღზრდილი მევიოლინეებისა და ალტისტებისაგან გვარიანი კამერული ორკესტრის ჩამოყალიბება შეიძლება და არაერთისაც.

პედაგოგიკაც ხომ მოწოდებაა და ცოტას თუ შეჰფერის ეს გამონათქვამი ჩვენში ისე, როგორც ლ. იაშვილს, რომლის პედაგოგიური მოღვაწეობაც უკვე თითქმის 6 ათეულ წელს ითვლის და დღესაც მისი, როგორც პიროვნების, სასიცოცხლო აუცილებლობას შეადგენს.

ლ. იაშვილი თბილისის I ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა და პროფესიულ სამუსიკო განათლების საწყისებსაც სწორედ აქ ეზიარა. არ იკითხავთ, ვინ იდგა მისი მუსიკალური აღზრდის სათავეებთან? — პირველი ქართველი მევიოლინე, კომპოზიტორი — „სამშობლოს" ავტორი — ანდრია ყარაშვილი და დიდი ზაქარია ფალიაშვილი, რომელიც გიმნაზიის გუნდს უძღვებოდა!

თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ლ. იაშვილმა ლენინგრადში ასპირანტურის კურსი გაიარა, უკრავდა ადგილობრივ სახელგანთქმულ სიმფონიურ ორკესტრში. თბილისში დაბრუნებისთანავე სწორუპოვარმა ევგენი მიქელაძემ მიიწვია მის მიერ დაარსებულ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში ალტების ჯგუფის კონცერტმაისტერად.

ამავე დროს, ლ. იაშვილი გამოდიოდა როგორც სოლისტი, მრავალი წლის მანძილზე უკრავდა პირველ ქართულ სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში. 1935 წლიდან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის კონსერვატორიაში, დღემდე რომ გრძელდება.

პროფესორმა ლ. იაშვილმა შექმნა თავისი სკოლა, შეიმუშავა საკუთარი პედაგოგიური პრინციპები, რომელთა საერთაშორისო აღიარების დადასტურებაა ის, რომ იგი არაერთგზის მიუწვევიათ მეთოდიკური ლექციებისა და მეცადინეობა-კონსულტაციების ჩასატარებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში.

პირველად, ფართო აღიარება, როგორც პედაგოგს ლუარსაბ იაშვილს, მისმა უფროსმა ქალიშვილმა მარინემ მოუტანა. ეს მოხდა 1949 წელს პრაღაში, სადაც მარინე იაშვილმა პრემია დაიმსახურა და, ამრიგად, საერთაშორისო კონკურსების პირველი ქართველი ლაურეატი გახდა. ამის შემდეგ მარინეს შემოქმედებითი გზა კიდევ არაერთი გამარჯვებით აღინიშნა. ამჟამად კი იგი მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორია. მაღალი რანგის მუსიკოსია ბატონ ლუარსაბის შუათანა ქალიშვილი ირინე — ამჟამად თბილისის კონსერვატორიის დოცენტი, ბრწყინვალე წარმატებები აქვს მოპოვებული საერთაშორისო ასპარეზზე უმცროს ქალიშვილს ნანა იაშვილს, რომელიც ამჟამად ქ. ესენის (გერმანია) კონსერვატორიის პროფესორია.

აი, ასეთი სამი შესანიშნავი ქალიშვილი და მუსიკოსი აღუზარდა ბატონმა ლუარსაბმა ქართველ ხალხს, ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფენომენი დღესდღეობით უპრეცედენტოა მთელს მსოფლიოში, არ დაგვავიწყდეს, რომ იგი იდგა სათავეში თავისი შვილიშვილების მუსიკალურ აღზრდასაც.

ლ. იაშვილის მოწაფეებს შორის არიან აგრეთვე ცნობილი მუსიკოსები ალექსანდრე ბიგალიშვილი, გია მელიქიშვილი, იან ლეუსი და ბევრი სხვა.

ბატონ ლუარსაბს 85 წელი შეუსრულდა. ძნელია ეს ირწმუნო, როდესაც უყურებ მის წელში გამართულ ფიგურას, ლაღ მოძრაობას. დღეგრძელობა ვუსურვოთ ჩვენს უხუცეს მუსიკოსს, შესანიშნავ აღმზრდელს, საყვარელ ადამიანს.

გულბათ ტორაძე.

• • •

სურათზე: ლუარსაბ იაშვილი (მარცხნივ) ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად.

„საქართველოს რესპუბლიკის" არქივიდან.

ბრძოლას ოთხნი განაგრძობენ

თბილისის „დინამო", ზესტაფონის „მარგვეთი", „ბათუმი" და ქუთაისის „ტორპედო" — აი ის ოთხეული, რომელიც გაითამაშებს საქართველოს თასს ფეხბურთში.

ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება 2 აპრილს.

გთავაზობთ საპასუხო მეოთხედფინალური მატჩების შედეგებს: „დინამო" — „შევარდენი-1906" — 5:0 (პირველი მატჩი — 4:1), „მარგვეთი"-„დურუჯი" — 1:2 (შეხვედრა გაიმართა თბილისში, პირველი მატჩი — 3:1), „ბათუმი"-„სამგურალი" — 2:0 (პირველი მატჩი — 0:1), „ტორპედო"-„საპოვნელა" — 4:2 (პირველი მატჩი — 0:0).

„დუელი" „ვითამ" მოიგო

კომპანია „ირბისის" (პრეზიდენტი — გელა კობეშავიძე) სპონსორობით ორგანიზებულმა, ფართოდ რეკლამირებულმა საკალათბურთო შოუმ „ვითა" — „დინამო" დაუვიწყარი 4 საათი აჩუქა სპორტის სასახლის იმდღევანდელ სტუმრებს.

როგორც უკვე აღიარებული, ისე დამწყები მუსიკალური კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აკომპანიმენტის თანხლებით „ვითამ" გამოწვევა იოლად მოიგო — 113:93. შეხვედრა პროფესიონალთა რეგლამენტით მიმდინარეობდა — ოთხი 12-წუთიანი ტაიმი და 6 პერსონალური შენიშვნა. დიდ შესვენებაზე მოწყობილმა ტოტოკონკურსმა გამარჯვება შემდეგ კალათბურთელებს მოუტანა: 3 ქულიანი ტყორცნები — შალვა ცხვედიანი, საჯარიმოები — გელა დარსაძე, ფარზემოდან ბურთის ჩატენვა — რევაზ ჩხეიძე (სამივე — „დინამო") და შორეული ზუსტი ტყორცნები — დუდუ დადიანი („ვითა"). შეხვედრის საუკეთესო სნაიპერებმა — ცხვედიანმა და დადიანმა თავიანთ გუნდებს შესაბამისად 33 და 32 ქულა შესძინეს.

და, ბოლოს, საინტერესოა, თუ რომელი კლუბი გარისკავს მსგავს სანახაობაში გამოიწვიოს წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის კიდევ ერთი უძლიერესი გუნდი — თბილისის „მერანი".

ქვეყნის თასი — მერაბ უკლებას

საქართველოს თასის მეორე გათამაშების გამარჯვებული ნარდში გახდა მერაბ უკლება.

კამათლის 64 მეგობრის პაექრობის საუკეთესო მონაწილეს გადაეცა 90000 მანეთი და ცნობილი დიზაინერის — სერგო სავანელის მიერ დამზადებული თასი.

სენას გამარჯვება

მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ეტაპი ავტორბოლაში „ფორმულა-1" კლასში, რომელსაც ბრაზილიის „ინტერლაგოსის" ტრასა მასპინძლობდა, მოიგო ადგილობრივმა ვარსკვლავმა აირტონ სენამ. მეორე პრიზიორი გახდა ინგლისელი დაიმონ ჰილი, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა გერმანელი მიხაელ შუმახერი.

ორი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში დაწინაურდა სენა.

ფეხბურთის ვეტერანებს დახმარება სჭირდებათ!

რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ქველმოქმედება იმ ადამიანთა მიმართ, რომლებსაც თავიანთი ახალგაზრდობის წლებში დიდი სიხარული მოჰქონდათ ამ ძალზე პოპულარული თამაშის მილიონობით თაყვანისმცემლისათვის.

ახლა კი პენსიონერის დუხჭირი ცხოვრებით ცხოვრობენ. ამ კავშირის მატერიალური შესაძლებლობები ერთობ შეზღუდულია. მან შეძლო დაეწესებინა მხოლოდ ორი ყოველთვიური სტიპენდია თავისი წევრებისათვის, და ისიც მხოლოდ 300 მანეთის ოდენობით თითოეული.

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის დაფინანსების წყაროები იყო კომერციული საქმიანობა და სპონსორთა მხარდაჭერა. მაგრამ შარშანდლიდან საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აეკრძალათ კომერციული საქმიანობა, სპონსორებმა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი დახმარება. ამიტომ, კავშირის ხელმძღვანელობამ მიმართა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, რომელმაც სამინისტროებს, უწყებებსა და მართვის ტერიტორიულ ორგანოებს მისცა წინადადება გაუწიონ ორგანიზაციას შეძლებისდაგვარი დახმარება.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის საანგარიშსწორებო ანგარიშია 000700288.

თბილისის მრეწვმშენბანკის დიდუბის განყოფილება. კოდი — 521783. სავალუტო ანგარიში — 67080882 002. საქართველოს ექსპორტ-იმპორტის ბანკი. კოდი — 805227.

ვის ვინ ელანდება

მიტინგი ზუგდიდში

აქ გაიმართა ექსპრეზიდენტის მომხრეთა დაახლოებით რვაასკაციანი მიტინგი, რომელსაც უძღვებოდა ზურაბ კვარაცხელია. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს ცაიშის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ამირანმა, პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა, ყოფილმა უზენაესი საბჭოს წევრებმა ავთანდილ რცხილაძემ და ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ორგანიზაცია „ჭყონდიდელის" პრეზიდენტმა ვალერი გაბელიამ, ამავე ორგანიზაციის აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ უჩა ოქროპირიძემ და აფხაზეთის ორგანიზაციის წევრმა ეთერ მგალობლიშვილმა, შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებმა ლოთი და ზაურ ქობალიებმა, სტუდენტთა საგაფიცვო კომიტეტის წევრმა ჯონი მაღლაკელიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დოცენტმა ელგუჯა ღულედიანმა და ზუგდიდის ყოფილმა პრეფექტმა თამაზ ჟორჟოლიანმა.

თავის სიტყვაში მუხრან მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ დღევანდელი პარლამენტარები არიან ერის მოღალატენი, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იარაღით მოსულ მთავრობას, მან თქვა, რომ მთავრობის მხრიდან განიცდის დევნას, მაგრამ იგი ბოლომდე დარჩება ექსპრეზიდენტის მომხრე. ზაურ და ლოთი ქობალიებმა განაცხადეს, რომ მათი შეიარაღებული ფორმირებანი არ ჩაერევიან აფხაზეთის კონფლიქტში და არ მიიღებენ მონაწილეობას საომარ მოქმედებაში მანამდე, ვიდრე არ გადადგება ე. შევარდნაძე და მისი მთავრობა. ნ. მოლოდინაშვილმა და ა. რცხილაძემ მხარდაჭერა აღუთქვეს მომიტინგეებს და მისცეს მათ პირობა, რომ ახლო მომავალში საქართველოში იხილავენ ექსპრეზიდენტს.

საქინფორმი.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

დღის დასწრებული:

დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობი, ტელე-რადიოგადაცემათა წამყვანი (დიქტორი, კომენტატორი, ჟურნალისტი), დრამისა და დოკუმენტური კინოს რეჟისორი, სამუზეუმო-საარქივო საქმის სპეციალისტი, ხელოვნების ისტორიის მასწავლებელი.

დრამისა და კინოს მსახიობის, ტელე-რადიოგადაცემათა წამყვანის, სამუზეუმო-საარქივო საქმის სპეციალობაზე სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია, დანარჩენზე — ხუთი წელი.

I. **დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობაზე** ბარდება: 1. სპეციალობა (სამსახიობო მონაცემების შემოწმება). 2. გასაუბრება, 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 4. საქართველოს ისტორია.

II **ტელერადიოგადაცემათა წამყვანის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-გასაუბრება, 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 3. უცხო ენა, 4. საქართველოს ისტორია.

III. **დრამის რეჟისორის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-წერა; 2. სპეციალობა-პრაქტიკული რეჟისურა (გასაუბრება), 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 4. საქართველოს ისტორია.

IV. **დოკუმენტური კინოს რეჟისურის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-გასაუბრება, 2. სპეციალობა-წერა, 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 4. საქართველოს ისტორია.

V. **სამუზეუმო-საარქივო საქმის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-გასაუბრება, 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 3. საქართველოს ისტორია.

VI. **ხელოვნების ისტორიის მასწავლებლის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-გასაუბრება, 2. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 3. საქართველოს ისტორია.

დაუსწრებელი განყოფილება

I. **კინომცოდნეობის სპეციალობაზე** — 1. სპეციალობა-წერა; 2. სპეციალობა-გასაუბრება, 3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 4. საქართველოს ისტორია.

ფასიანი სწავლების წესით:

დრამის რეჟისორი (თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის; სწავლის ვადა — 3 წელი).

აბიტურიენტმა განცხადება უნდა შემოიტანოს რექტორის სახელზე და თან დაურთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), ოთხი ფოტოსურათი (3X4). პასპორტსა და სამხედრო ბილეთს აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.

განცხადებების მიღება იწყება 7 ივნისს და მთავრდება 8 ივლისს.

განცხადებების მიღება წარმოებს 2 საათიდან 5 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

გამოცდები დაიწყება 5 ივლისს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი, № 19.

შენიშვნა: დრამისა და კინოს მსახიობის, ტელე-რადიოგადაცემათა წამყვანის სპეციალობის აბიტურიენტები გაივლიან შერჩევით ტურებს. დრამისა და დოკუმენტური კინოს რეჟისურის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემოქმედებითი ხასიათის ნამუშევრები: დრამის რეჟისურის სპეციალობაზე — პიესის რეჟისორული გადაწყვეტა, კინორეჟისორის სპეციალობაზე — ფოტონარკვევი და რაიმე შემთხვევის აღწერა.

საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს 25 ივნისამდე.

კინომცოდნეები მიიღებიან რაიონებიდან.

ყოველ შაბათს 12 საათზე მოეწყობა კონსულტაციები.

მიმღები კომისია.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობა

გაცნობებთ

რომ მოქალაქეთა ფულადი დანაზოგების ინფლაციისაგან დაცვის მიზნით გამოშვებულია შემნახველი ბანკის **1000, 5000 და 10000 მანეთის ღირებულების სერთიფიკატები,** რომლებიც თავისუფლად იყიდება და მიიღება გასანაღდებლად შემნახველი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

სერთიფიკატები გამიზნულია ფულადი დანაზოგების **10 წლის ვადით** შენახვისათვის. ამ ვადის დაცვის შემთხვევაში თქვენი თანხა **ხუთმაგდება,** ე.ი. სერთიფიკატზე გაიცემა შემოსავალი წლიური გაანგარიშებიდან საშუალოდ **40%**-ის ოდენობით.

შემნახველი ბანკის სერთიფიკატი - ფასიანი ქაღალდია წარმომდგენზე, რომელიც შესანახად შეგიძლიათ მიაბაროთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის - სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი გაძლევთ თქვენი ფულადი ოპერაციების ანონიმურობის გარანტიას.

ბანკის გამგეობა შეგახსენებთ, რომ 1991 წლის 1 მარტამდე გაცემულ სერთიფიკატებზე დარიცხულია **კომპენსაცია 40%** და გაკეთებულია **100%-იანი ინდექსაცია,** როგორც ძირითად, ასევე საკომპენსაციო თანხებზე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი მომავალშიც იზრუნებს მაქსიმალურად დაიცვას თქვენი ანაბრები ინფლაციისაგან.

მიწა რიგდება!

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მშრომელების თითოეულმა ოჯახმა მიიღო 1.500 კვადრატულ მეტრამდე მიწის ნაკვეთი.

ახალი მიწათმფლობელები უკვე გავიდნენ ნაკვეთებში, გაწმინდეს, გაასუფთავეს, შეუდგნენ მოხვნას, ბარვას, თესვას.

სასწავლო-საცდელ მეურნეობებს პრივატიზაცია არ ეხება, აქ რატომ ჩატარდა? იმიტომ, რომ შემოქმედებითად მიუდგნენ კანონს. მეურნეობის მუშებს მიწა არ გააჩნდათ. უნივერსიტეტის რექტორმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ, მეურნეობის დირექტორმა ჯემალ ტყეშელაშვილმა მშრომელთა სატკივარი მთავრობაში მიიტანეს. მათ მხარი დაუჭირეს.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

გვიხსენით ცრუ მსახურთაგან

ამ ბოლო დროს რუსთავის ქუჩებში, ეზოებსა და მოედნებზე მომრავლდნენ მკითხავები და „წინასწარმეტყველები". მათში განსაკუთრებით გამოირჩევა „ნათელმხილველი" ავთო. „ბოროტი ენები" ამბობენ, რომ იგი სამი წლის წინათ, გამოუძევებიათ ქარხნიდან. ღვთის მსახურად, მღვდლად ასაღებს თავს, „მამა გიორგი", აცხადებს, რომ თითქოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მარჯვენა ხელი იყოს. სამღვდლო სამოსელითა და საცეცხლურით ხელში დადის ოჯახებში და დიდძალ ფულს და დოვლათს ართმევს მშრომელებს.

ეწვიეთ ცხინვალელ მხატვრებს

თბილისის ცენტრში, საზოგადოება „თბილისელის" საგამოფენო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი №48).

ცხინვალელი მხატვრების გამოფენა-გაყიდვა, რომელსაც აწყობს საქველმოქმედო საგამომცემლო ფირმა „ოპიზა", 6 აპრილს 12 საათზე გაიხსნება.

„მწვანეთა" ინიციატივით

თბილისი. ფიჭვის ორასი ნერგი გაახარეს თბილისის მუხათგვერდის რაიონში. ქალაქის შემოგარენის გამწვანება, რაც ტრადიციად იქცა, ამჯერად მოეწყო საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივითა და მონაწილეობით. მას აქტიური დახმარება გაუწია მერიამ, რომელმაც იგი მოამარაგა ნერგებით. ქალაქელები ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ ნერგების რგვაში.

მცირე რეცენზია

„რეალობა და მითები"

ფილმის დასახელება წერილის სათაურში როდია გამოტანილი. ეს დასახელება თავის თავში აერთიანებს არა მარტო გადაღებული მასალის არსს, არამედ იმ ადამიანის არსსაც, რომლის პიროვნების ირგვლივაც არის შექმნილი ფილმი.

ამ ადამიანს ყველა იცნობს. ისიც ყველას იცნობს, ყველას უღიმის კეთილი, საიმედო ღიმილით, ყველას ეხმარება. დახმარება — მისი ბუნების თვისებაა. ყველა მიდის მასთან თხოვნით. თხოვნა კი ერთია: დაეხმაროს გამოჯანმრთელებაში.

როგორ არ დაეხმარო ასეთ ადამიანებს?! თუნდაც კეთილი სიტყვით. აი რა მიამბო ერთმა ნაცნობმა ქალმა: „მივედი 27-ე აფთიაქში (მაშინ სოკრატ სალუქვაძე — ლაპარაკი კი მასზეა — მუშაობდა ამ აფთიაქის გამგედ), ვეკითხე საჭირო წამალი, არა, ასეთი წამალი არა გვაქვსო, — მიპასუხეს. წავედი გამგესთან რჩევისათვის. რჩევის ნაცვლად თავს დამატყდა დაინტერესება, ზრუნვის ნიაღვარი და, რაც მთავარია, სურვილი დახმარებისა. თავის დღეში ასეთი რამ მე არ მინახავს. მიდგა-მოდგა, და თქვენ წარმოიდგინეთ, წამალიც მიშოვა!"

სოსო სალუქვაძე პოეტური, არტისტული ბუნების ადამიანია (ფილმში, რომლის შესახებაცაა ლაპარაკი, თქვენ ამაში დარწმუნდებით), უყვარს თეატრი, ლიტერატურა, საერთოდ ხელოვნება... კარგადაა ჩახედული ქართული კულტურის საკითხებში, იცის საქართველოს ისტორია...

ახლა კი უშუალოდ ფილმის შესახებ. ფილმში შეკრებილია

ყველაფერი, რაზეც წლების მანძილზე მუშაობდა სოკრატ სალუქვაძე, ან უფრო სწორად, რაც მისი ცხოვრების არსად გადაიქცა. ფილმი თითქოს ორ პლანშია გადაღებული: ისტორია, მითები და დღევანდელობა. ფილმის ავტორებმა — სცენარისტმა თამაზ კონტრიძემ, რეჟისორმა ვლადიმერ ტყაბლაძემ და თამაზ კონტრიძემ, ოპერატორებმა ნოდარ ნამგალაძემ და ტრისტან კანდელაკმა ფართო გამომსახველობითი ფონი შექმნეს. აქ საკმაოდ ვრცლადაა მოცემული ექსკურსი საუკუნეების სიღრმეში და მოხერხებულად არის მონახული კავშირი თანამედროვეობასთან. ისტორიული ძეგლები, უნიკალური ხელნაწერები ექიმობასთან, წამლობასა და მკურნალობასთან დაკავშირებული, ნაირ-ნაირი ნივთები, ოქროს ნაკეთობანი, სადაც სამედიცინო ნიშნები გამოსახულია, წამლების სპეციალური ქურჭელი და ბევრი, ბევრი სხვა რამ, რაც საუკუნეების სიღრმიდან მოდის და მისაწვდომი ხდება მაყურებლისათვის. ყველაფერი ეს კი — გამოკვეთილი დასტურია იმისა, რომ ჩვენი პატარა, ასეთი უნიკალური წარსულის მქონე ქვეყნის ტერიტორიაზე უძველესი კლასიკური მედიცინა არსებობდა.

ფილმის ავტორები და მისი მთავარი გმირი ს. სალუქვაძე მთელ რიგ სავარაუდო ვერსიებს გამოთქვამენ. ასე, მაგალითად: ტერმინი „მედიცინა" ამ ვარაუდით დაკავშირებულია ლეგენდარულ ქართველ ქალთან მედეასთან. ავტორები არაფერს არ ამტკიცებენ, ისინი მხოლოდ ჩასაფიქრებლად გვიწვევენ...

რეალობა ფილმში ჩვენი თანამედროვეობითაც შედის. თვალწარმტაცად და ცოცხლად არის გადაღებული ეპიზოდები ქალაქში, ბაზრობა, რიონის ხეობა, კოლხეთი. ფილმის შემქმნელებმა მოახერხეს ისტორიული წიაღსვლებისა და ჩვენი ყოფის დოკუმენტური შეერთება. მეტიც, მათ ამ სინთეზში მხატვრული ელემენტებიც შეიტანეს, მაგრამ ლია ცისქვეშ ილვანელ მწყემსებთანაც შთამბეჭდავი საუბარია ბუნების სიკეთეზე.

...ფილმი ახლა არ გამოსულა ტელეეკრანზე, მაგრამ მე ახლახან ვნახე იგი და გამიჩნდა გულწრფელი სურვილი ის მცირე რეცენზია დამეწერა.

ეთერ ბუბუშვილი.

• • •

სურათზე: მარცხნიდან რეჟისორი ლადო ტყაბლაძე, ფილმის წამყვანი, წამალთმცოდნე სოკრატ სალუქვაძე და სცენარის ავტორი და რეჟისორი თამაზ კონტრიძე.

ო. ბიბილაშვილის ფოტო.

უჩვენებს თბილისი

ეთერშია საქართველო

ოთხშაბათი

31 მარტი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.20 — განცხადებები. 18.25 — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო მახტი-ლაბორატორია. 19.00 — ირაო. 19.35 — ანძა — ტელემარკეტინგი. 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — „მესამე გზა" — ტერენტი გრანელი. 21.45 — მოგზაურობა ირანში. 21.55 — 45 წუთი — სპორტული პროგრამა. 22.40 — ვიდეო... ვიდეო... 24.00 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხუთშაბათი

1 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — განცხადებები. 18.35 — მოსწავლეთათვის — „თვალსაწიერი". 19.05 — რამპა. 19.10 — ბასტი-ბუბუ. 19.45 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ქრონიკონი. 21.30 — საგაზაფხულო მელოდიები. 22.20 — ქართული კინოს ვარსკვლავები — იპოლიტე ხვიჩია. 23.50 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 0.05 — მუსიკალური ექსტაზი.

პარასკევი

2 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.20 — განცხადებები. 18.30 — ანძა — ტელემარკეტინგი. 18.40 — „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე" — ტიციან ტაბიძე. 19.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — **პოლიტიკა.** 21.20 — ტელე-სინევიდეო. 0.20 — **ქვიშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობა სამძიმარს უცხადებს გამგეობის თავმჯდომარეს ვალიკო დოლიაშვილს მამის
გიორგი დოლიაშვილის
გარდაცვალების გამო.
დაკრძალვა 30 მარტს ქარელის რაიონის სოფელ აგარაში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიის პოლიციის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მიმდინარე წლის 26 მარტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ამავე სამმართველოს თანამშრომელი, პოლიციის ლეიტენანტი
მერაბ პლატონის ძე ქავთარაძე
და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-28; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის [illegible]

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66434